ზაალ ნემსაძე
გია ნადარეიშვილი
თეიმურაზ ნადარეიშვილი

ტელეპორტაცია - მითი თუ სინამდვილე?

თბილისი 2024

ზაალ ნემსაძე,
გია ნადარეიშვილი,
თეიმურაზ ნადარეიშვილი:
ტელეპორტაცია - მითი თუ სინამდვილე?

გამომცემლობა **„ივერიონი“.**
თბილისი. 2024. გვ. 104.

რედაქტორი:	**რევაზ მიშველაძე**
ტექნიკური რედაქტორი:	**ლევან ბოჭორიშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა:	**სოფო ქილიფთარი**
კორექტორი:	**ფიქრია ნემსაძე**

ISBN 978-9941-8-6310-3

წინათქმა

სამყაროს განახლების ექსპერიმენტი

ორ წელზე მეტია რაც ახალი, მთელი პასუხისმგებლობით ვიტყვი, საქართველოში ყველაზე დემოკრატიული, ჰუმანური და პროგრესული სატელევიზიო არხის „ქართული TV" ეკრანზე კვირაში ერთხელ გამოჩნდება სამი მამაკაცი.

ისინი ყოველგვარი პრეტენზიისა და სენსაციური ამოოხვრების გარეშე, უბრალოდ საუბრობენ ადამიანის იმ იდუმალ, ლამის ჯერ შეუცნობელ შესაძლებლობებზე, რომელთაც სასწაულის მოხდენა შეუძლია, რომელმაც შეიძლება გარდაქმნას სამყარო.

გადაცემა ჰქვია „მომავლის ტექნოლოგიები".

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ რისთვისაა საჭირო ეს ყბადაღებული „სამყაროს გარდაქმნა"?

აი რისთვის:

ცივილიზაციის ამ ეტაპზე მსოფლიო ლამის ჩიხში შევიდა.

ადამიანთა ცხოვრების მოწესრიგების მცდელობას, რასაც მეცნიერები საუკუნეთა განმავლობაში გულმოდგინედ ცდილობდნენ, ბოთლიდან ამოშვებული ჯინივით გაუსწრო ხელის შემშლელმა პრობლემებმა.

ეს „ხელიშემშლელი პრობლემები“ მოვლენათა მთელი სისტემაა, რომლის გათვალისწინებაც შეუძლებელი აღმოჩნდა.

შედეგი?

მოსალოდნელზე უფრო მეტად ღრღნის კაცობრიობას მოურჩენელი დაავადებები, ომები, ეკოლოგიური კატასტროფები, გამოფიტული ნიადაგი, რომელიც ძველებურად ვეღარ იძლევა მოსავალს.

შთაბეჭდილება ისეთი რჩება, თითქოს დედამიწა დაბერდა და, რევოლუციური განახლება არ მოხდა მთელი რიგი მოვლენებისა, შეიძლება ეს მშვენიერი დედამიწა დაიღუპოს., დაიღუპოს ადამიანი და მასთან ერთად გაქრება მის მიერ შექმნილი განუმეორებელი საოცარი კულტურა.

ვინ არიან ისინი, ვისაც გადაუწყვეტია კვირაში თითოსაათიანი თავდაჯერებული კამათით მეცნიერების და სახარების მომარჯვებით (რათქმა უნდა ღვთის შეწევნით), ჩაწვდეს ადამიანისა და გარემოს ურთიერთობის იმგვარ საიდუმლოებებს, დღემდე კეთილი გონი რომ არ შეხებიან.

ერთი მათგანი ცნობილი მწერალია ნიკო ნიკოლაძის და ნიკო ლორთქიფანიძის პრემიების ლაურეატი ზაალ ნემსაძე, მეორე ამ გადაცემის სულის ჩამდგმელი, მკითხველისთვის კარგად ცნობილი ჰომეოპათი პროფესორი გია ნადარეიშვილი,

ხოლო მესამე ი. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკოსი თემურ ნადარეიშვილი.

რას შეეხება სამთა საუბარი უკვე მაყურებლის ინტერესის საგნად რომ იქცა?

შესაძლებელია თუ არა პიროვნების ბუნებაში ვიპოვოთ ძალა, რომლის მეშვეობითაც შეიძლება დავამარცხოთ ოცდამეერთე საუკუნეში თითქმის მომძლავრებული ჰომოსექსუალიზმი და ამის მსგავსი სხვა უკუღმართული სექსუალური გადახრა?

შეიძლება თუ არა ვერაგი, ლამის დაუმარცხებელი ჭირისგან - კიბოსგან, ლეიკემიისგან... ადამიანის განკურნება?

შეიძლება თუ არა მსოფლიოს ყველაზე მოდური დაავადების (რითაც დღეს ყოველი მესამე მოქალაქე იტანჯება) ნევროზების და ფსიქო განგაშების დამარცხება?

შეიძლება თუ არა გახმობისკენ პირშებრუნებული ხეების განახლება?

შეიძლება თუ არა მარჩენალ მიწას დაუბრუნო, აღუდგინო ადრინდელი თვისებები?

და ბოლოს, შესაძლებელი თუ არა პატარა სახელმწიფოების თავზე დამოკლეს მახვილივით დაკიდებული საშიშროების - დიდი სახელმწიფოს მიერ მისი დაპყრობის და მიწასთან გასწორების თავიდან არიდება?

აი, რაზე მსჯელობენ და გზების ძიებაში ათენ-აღამებენ „მომავლის ტექნოლოგიების“ მესვეურნი?

ამასობაში ჰომეოპათი გია ნადარეიშვილი კაცობრიობის ოცნებას ფაქტებით ამდიდრებს:

წეროვანის ექსპერიმენტი (სადაც ბატონმა გიამ არნახული მოსავალი მიიღო მცირე ფართობზე),

დაძლეული მომაკვდინებელი სისხლდენა (როცა სახალხო მკურნალმა ნახევრად მკვდარი ჯანიკო სიჭინავა სამ დღეში განკურნა),

დამარცხებული ბრონქიალური ასთმა...

დამარცხებული პოდაგრა...

ჰომეოპათიური წყლის საშუალებით სასწაულებრივად გაცოცხლებული აკაკი წერეთლის მიერ დარგული კაკლის ხეები სხვიტორში...

რომელი ერთი ჩამოვთვალო...

და ბოლოს, თითქმის ახდენილი ოცნება იმის შესახებ, რომ ტელეპორტაციის შედეგად კვანტური მექანიკისა და ღვთიური მინიშნებების შემწეობით შეიძლება პატარა ქვეყანამ დიდი დამპყრობელი დაამარცხოს.

მაგრამ ეს თუ დღეს ზოგ შეიძლება ოცნების, ფანტაზიის სფეროდ მოეჩვენოს განა ოცნებამ არ დაუდო სათავე მსოფლიოში ყველაზე დიდ აღმოჩენებს?

განა ქართულ ფოლკლორს არ ამშვენებს ყველა ესქპერიმენტის გამამართლებელი ანდაზა .. „ოცნებას კაცი არ მოუკლავს!“

აი, ამ რუდუნებამ, ღვთის, მეცნიერების და პრაქტიკის შერწყმამ დაბადა ეს წიგნი ძვირფასო მკითხველო.

მაშ დაუჭიროთ მხარი განახლებისკენ მიმსწრაფ ექსპერიმენტებს.

რევაზ მიშველაძე
საქართველოს სახალხო მწერალი
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

მკვდარი ზღვა – უფლის ნიშანი

იოანე ოქროპირი: ბევრი ცოდავს სოდომელთა მსგავსად მაგრამ მათზე ცეცხლის წვიმა არ გადმოდის, რადგან მათთვის ცეცხლის მდინარეა გამზადებული.

დღეს გადავწყვიტე „მწერლის გაზეთს“ გავუგზავნო ერთი ნაშრომი ჩემი წიგნიდან – „მეფე, წინასწარმეტყველი, მღვდელი“, სათაურით „მკვდარი ზღვა-უფლის ნიშანი“. აქ ფაქტებზე დაყრდნობით აღწერილი მაქვს როგორ სძაგს უფალს მამათმავლობა და როგორ აქცია ფერფლად ამ ცოდვის გამო სოდომის ხუთქალაქიდან ოთხი-სოდომი, გომორი, ადმა და ცებოიმი და მხოლოდ ხაგორი გადარჩა, სადაც ლოტმა და მისმა ოჯახმა შეაფარეს თავი.

რა ჩემი განსასჯელია, მაგრამ როცა რომის პაპი გულში იხუტებს მამათმავლებს, ბავშვობაში წაკითხული ლეო ტაქსილის „წმინდა ბუნაგი“ მახსენდება. აქაური მთავარი კათოლიკე პაზოტო გამობრძანდა, თავისი შეფი გაამართლა, შემოგვწყრა. ბომბები აცვივა ხალხს და რა დროს მამათმავლობის კრიტიკაა. შეუძლებელია მან არ იცოდეს, რა საშინელია სასჯელი სოდომის ცოდვისთვის და თუ არ უწყის, იწამეთ ღმერთი და ეს ნაშრომი დაუდეთ წინ. ქართული კარგად იცის და შინაარსის გაგება არ გაუჭირდება.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი ჩვენი პატრიარ-

ქის ყოვლისშემძლეობაში. მადლობა უფალს, რომ ილია მეორის დროის საქართველოში ვცხოვრობ. საოცარია, ყველა ამა სოფლის საქმეზე გამოთქვამს ერთადერთ სწორ მოსაზრებას და ამასთან საოცრად მშვიდი ხმა აქვს, რაც სალბუნივით მოქმედებს ჩემზე და თუ გინდათ უღელში შევებმები. ცხონებულმა თამაზ კვაჭანტირაძემ პატრიარქს მეორე ილია უწოდა და ეს ისეთივე ჭეშმარიტებაა პირადად ჩემთვის, როგორც მაცხოვრის აღდგომა და მეორედ მოსვლა.

მინდა შემოგთავაზოთ ჩემი ნაშრომი – „მკვდარი ზღვა-უფლის ნიშანი“.

„გავიდა ლოტი და ელაპარაკა თავის სასიძოებს, რომელთაც მისი ქალიშვილები უნდა ეთხოვათ და უთხრა: ადექით და გადით ამ ადგილიდან, რადგან ქალაქის განადგურებას აპირებს უფალი. სასიძოებს ეგონათ, ხუმრობსო ლოტი“ (დაბ. 19:14).

როგორც მალევე გაირკვა, ლოტი სრულიადაც არ ხუმრობდა. „აწვიმა უფალმა ციდან სოდომს და გომორს გოგირდი და ცეცხლი უფლისგან. დაამხო ეს ქალაქები და მთელი მხარე. ამ ქალაქების მთელი მოსახლეობა და დედამიწის აღმონაცენი.“ (დაბ. 19:24-25). ამის შემდეგ „წავიდა აბრაამი დილაადრიან იმ ადგილისკენ და დადგა იქ უფლის წინაშე. გახედა სოდომსა და გომორს და აჰა, ხედავს, კვამლი ასდის მიწას, როგორც საკირედან ავარდნილი ბოლი“ (დაბ.19: 27-28).

ამ ორ ქალაქთან ერთად განადგურებული და აღგვილ იქნა ადმა და ცებოიმიც, ანუ ოთხი ქალაქი ე.წ. სოდომის ხუთქალაქიდან. მხოლოდ ხაგორი გადარჩა, სადაც ლოტმა შეაფარა თავი ოჯახთან ერთად. ეს ქალაქი, რომელსაც ცოღარსაც უწოდებდნენ, როგორც ბიბლიის შემსწავლელნი მიიჩნევდნენ, მდებარეობდა მკვდარი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქერექის ველზე, მოაბის საზღვართან. ზოგიერთი ფიქრობს, რომ ცოღარი მკვდარი ზღვის ჩრდილოეთითაა. სოდომის ხუთქალაქეულის ზუსტი იდენტიფიცირება ძველი აღთქმის მიხედვით, სამწუხაროდ, შეუძლებელია. მკვდარი ზღვა ერთადერთია დედამიწაზე, რომელშიც არცაა სიცოცხლე და ეს ზღვა, სწორედ სოდომის და გომორის ადგილას გაჩნდა ამ ცეცხლოვან-გოგირდოვანი წვიმის მერე, რათა ადამიანებს არასოდეს დავიწყებოდათ უფლის განაჩენი.

ამ ქალაქთა კატასტროფის შესახებ წერდნენ ანტიკური მეცნიერებიც. ბერძენი ისტორიკოსი და გეოგრაფი სტრაბონი: ოდესღაც აქ ყოფილა 13 დასახლებული ადგილი, რომელთაგან მთავარ ქალაქს სოდომს 60 სტადიის გარშემოწერილობა ჰქონდა. მიწისძვრის, ცეცხლისა და ადუღებული გოგირდის წვიმისგან, ტბამ გადმოლახა ნაპირები და ცეცხლმა შთანთქა მთები. ზოგი ქალაქი პირწმინდად აღიგავა, ზოგიდან კი მოასწრეს გაქცევა.

ზეციური ცეცხლით განადგურებულ ამ ადგილებს იხსენებს მეორე საუკუნის რომაელი ისტორიკოსი პუბლიციუს კორნელიუს ტაციტუსი, ხოლო მისი თანამედროვე იოსებ ფლავიუსი წერს:“ ოდესღაც მდიდარი და ნაყოფიერი სოდომის მხარე, ახლა სრულიად გადამწვარია... ის თავისი მცხოვრებლების გამო მეხთა ტეხამ გაანადგურა“.

ისტორიკოსები და არქეოლოგები ლეგენდად მიიჩნევდნენ ზემოთქმულს, მაგრამ ტროას გათხრების შემდეგ, გაუჩნდათ იმედი, რომ შეიძლებოდა სხვა დასახლებების აღმოჩენაც.

1965-იდან 1979 წლის ჩათვლით, ხუთი ექსპედიცია ჩატარდა სოდომის კვალის მოსაძიებლად, მაგრამ უშედეგოდ. უკვე ჩვენს საუკუნეში ჯერ ისრაელმა, მერე იორდანიამ და რუსეთმა წყალქვეშა აპარატებიც კი ჩაუშვეს ამ მიზნით მკვდარ ზღვაში, მაგრამ ამაოდ. ერთადერთი, რაც იპოვეს თანამგზავრული გამოკვლევების შედეგად, ეს იყო რომელიღაც დასახლების ნანგრევები ამ ზღვის სამხრეთით. ის მდებარეობს უძველეს ქალაქ ბაბ-ედ-დრასთან ახლოს და მიეკუთვნება ბრინჯაოს ხანას (მესამე ათასწ .ჩვ.წ. აღ-მდე). ამის გარდა იყო ცდები, სოდომის და გომორის ზოგიერთი სხვა უძველესი დასახლებისთვის „მიკუთვნების“.

კარგი ამბავი მაქვს ჩემი გულშემატკივართათვის: სისხამ დილით დავიწყე ახალი წიგნის

წერა. გთავაზობთ რამდენიმე წინადადებას ამ დასაწყისიდან: „გახსენი, ესროლე, საკონტროლო პუნქტი გაანადგურე!“ მიიღო ბრძანება ყურსაცვამში და აფრინდა... ზუსტად იგივე გაიმეორა ხუთმა სხვა ეკიპაჟმა ტანკებთან ერთად და,,, ამ დროს ამ აგრესორთა სამშობლოს დედაქალაქში, აქედან რამდენიმე ასეული მილის მანძილზე, მიყოლებით, აფეთქდნენ პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და ოთხი ძალოვანი მინისტრი და მათი სამუშაო რეზიდენციები. ვინც დარჩა ამბის მომყოლი, მათ მსოფლიოს მოგვიანებით აცნობეს, რომ ელვისებური ომის გეგმა ჩაეფუშათ და მეზობელმა, ერთი შეხედვით, სამეზობლოში ყველაზე მშვიდობიანმა და უიარაღო პატარა სახელმწიფომ, მასზე ხუთჯერ დიდი და ასჯერ ძლიერი ქვეყანა,უთავოდ დატოვა...

და მხოლოდ ერთს, ყველა სამსახურიდან გაგდებულ ბებერ მწერალს ჰქონდა ამის სავარაუდო ახსნა.. „მათ ხომ იერიქონა ჰყავთ. ეს მისი ოინები იქნება“. ფიქრობდა და მაშინ გაახსენდა თავისი ტრაქტატი „ტელეპორტაცია – მითი თუ სინამდვილე?“ ეს ტრაქტატი სწორედ იერიქონას წიგნის გავლენით დაწერა და დარჩა კიდეც უმუშევარი. იმას კი იქ, თავის სახელმწიფოში, ეტყობა, დაუჯერეს და ერთმა კაცმა დედა გვიტირა. მშვიდობიანი ხალხია, არ მოინდომებენ არასდროს, თორემ, მთელ მსოფლიოს ამოიდებენ ლაჯებში. ტელეპორტაციას მხოლოდ თავდა-

ცვისთვისთვის გამოიყენებენ...

ამ ნაწყვეტს ამ წიგნში კიდევ ერთხელ შეხვდებით, საჭირო დროს და საჭირო ადგილას და არ გაგიკვირდეთ!

...ვაგრძელებ „მკვდარ ზღვას“. ... მაგალითად, ალბუკერკეს უნივერსიტეტის პროფესორი, არქეოლოგი სტივენ კოლინზი ვარაუდობდა, რომ იორდანიის ტელ ჰამამის შემოგარენის ნანგრევები სწორედ სოდომი იყო, თუმცა ეს ადგილი მკვდარი ზღვის ჩრდილოეთითაა, როცა სოდომი მისგან საწინააღმდეგო მხარეს, მკვდარი ზღვის სამხრეთში მდებარეობდა. დასასრულს გეტყვით, რომ ბიბლიაში აღწერილ კატასტროფათაგან, მსოფლიო წარღვნის შემდეგ, მეორე ადგილს, სოდომის და გომორის დასჯა იკავებს. მოსეს ხუთწიგნეულის პირველი წიგნის, დაბადების, მეცხრამეტე თავში გარკვევით წერია, რომ სწორედ მამათმავლობის გამო დასაჯა მატერიალურად აყვავებული ეს ქალაქები უფალმა. და დასაჯა გოგირდისა და წუნწუბის წვიმით, რომლის საშინელი სიმყრალე სწორედ ამ ცოდვის შესატყვისი იყო – რათა საცნაური გაეხადა ადამიანთათვის ამ ცოდვის სიბილწე და ეჩვენებინა, რამდენად სძაგს იგი შემოქმედს ჩვენსას. ეს აბრაამისა და ლოტის დროს მოხდა, მაგრამ ამ საშინელი სასჯელის უტყვ მღაღადებლად დღემდე მკვდარი ზღვა გვევლინება.

რატომ ჩავაჯინე (ხო, „ჩავაჯინე“ და არა „ჩავ-

სვი“ !!!) ტელეპორტაცია სოდომის და გომორის პონტში? იმათ გასაფრთხილებლად, ვინც აქტიურად ეწევა ამ სასიკვდილო ცოდვის პროპაგანდას და სხვასაც ითრევს სამუდამო ჯოჯოხეთში და თუ რომის ახლანდელ პაპს არ აწუხებს ამდენი სულის დაყენება კინჩხკისერის მოტეხვის გზაზე თავისი ამაზრენი განცხადების შემდეგ, იქნებ ვინმემ გაახსენოს ბიბლიური ისტორია სოდომის და გომორის შესახებ.

აქაურ ამ ცოდვის ჩამდენებს და მათ წამქეზებლებს კი შევახსენებ, რომ დედაეკლესიის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ მათ თავზე დამსხვრეული ტაბურეტი, მიიღონ უფლის წყალობად და გაფრთხილებად და ახსოვდეთ, უფალი არსად ბრძანებს, რომ მეორედ დალაშქრავს ჯოჯოხეთს ბილწების გასათავისუფლებლად. მან მოგვიძღვნა და მზითვად გაგვატანა ბიბლია-წუთისოფელში ყოფნის ცოდვების მონანიების წესების შესახებ და იმდენად შეგვიყვარა, ყველა მონანიებული ცოდვა ჯვარცმისას გვაპატია. მაგრამ ათასგზის გაგვაფრთხილა, უფლის დღე მოულოდნელად, გაუფრთხილებლად, ქურდულად მოვა და ცოდვების მონანიებას ნუ გადადებთო.

ტელეპორტაციის ვისაც არ სწამს, იოანეს „გამოცხადება“ წაიკითხოს და იერიქონის საყვირები, აგრეთვე იესო ნავეს ძის ისტორია. დასასრულს კი განსასჯელად გიტოვებთ ბიბლიიდან პატარა მონაკვეთს:

უთხრა დავითმა ნათანს: შევცოდე უფალს. უთხრა ნათანმა დავითს:უფალმაც მოგიტევა ცოდვა, არ მოკვდები; ცრემლები პურად მქონდა დღისით და ღამით (2 მეფ.12:13; ფს. 41:4) შესცოდა დავით მეფემ, მაგრამ მოინანია და მიუტევა ღმერთმა. დიდი იყო მეფის ცოდვა, მაგრამ უფრო დიდი იყო მისი სინანული. ის დამნაშავე იყო ღვთის წინაშე ორი მძიმე ცოდვის – მკვლელობისა და მრუშობის გამო, მაგრამ როდესაც ღვთის წინასწარმეტყველმა ნათანმა ამხილა იგი, დავითმა გულისტკივილით წამოიძახა: ვცოდე უფლის წინაშე! მან აღიარა ცოდვა და მწარედ შეინანა. თავის სინანულის გამომხატველ ფსალმუნებში მეფე ამბობს: „მატლი ვარ და არა კაცი“ (ფს.21:7); „ჩემი ოხვრის ხმისაგან შეახმა ხორცი ჩემს ძვლებს“ (ფს. 101:6); „გამიქრა ძილი“ (ფს.101:7); „ნაცარს პურივით ვჭამდი და სასმელს ცრემლით ვაზავებდი“ (ფს. 101:9); მუხლები დამიუძლურდა მარხვისაგან“ (ფს.108: 24).

... და მონანულთა მოყვარულმა ღმერთმა შეიწყალა ეს სამაგალითო მონანული, მიუტევა მას შეცოდებები, განადიდა ისრაელის ყველა მეფეზე მეტად და მისცა უდიდესი მადლი, რათა წარმოეთქვა ყველაზე მშვენიერი სინანულის საგალობლები და წინასწარ ეუწყებინა მისი ტომიდან მაცხოვრის სამყაროში მოსვლის შესახებ.

ხედავთ, ძმებო, ღვთის საოცარ მოწყალებას მონანულთა მიმართ? ღვთისთვის იმდენად მო-

საწონია დავითის სინანული, რომ არ შერცხვა კაცობრივი სხეული მიეღო მისი თესლიდან. წმინდა ნიკოლოზ სერბი ამბობს: „წყალობა მათ, ვინც არ ჩაეფლო ცოდვაში და ვინც არ ჩავარდა სასოწარკვეთილებაში ცოდვის გამო. სინანული იხსნის მას როგორც ერთი, ისე მეორე ბოროტებისაგან“.

მარკოზი 10,6-9: ხოლო დასაბამითგან დაბადებისაით მამაკაცად და დედაკაცად შექმნნა იგინი ღმერთმან და თქუა: ამისთვის დაუტეოს კაცმან მამაი თვისი და დედაი თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა, და იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც, ვითარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთ ხორც. რომელნი ღმერთმან შეაუღლნა, კაცი ნუ განაშორებნ.

ცოტა წაიმერულება

ის ქე დავასრულე ზეითკენ და ქე ჩამევედი ქვეითკენ, მარა თუ ყოვლისმცოდნე ვახტანგ ცინცაძე არ ჩამევიდა და არ მასტავლა რაფრა შევინახო ეს სიმწრით დაწერილი გოურკვეველი შინაარსის და მიმართულების ნაცოდვილარი, ქე წამეშლება და რა პასუსი გავცე კაცობრიობას.

ამასობაში რომის პაპი გამოგვეხმაურა და აი, რა ბრძანა: ინფორმაციას მოგაწვდით, რომელიც რადიო „თავისუფლებამ“ გაავრცელა: ვატიკანის მიერ 4 იანვარს გამოქვეყნებული დოკუმენტით, რომის პაპმა ფრანცისკემ უარყო კონსერვატორი კათოლიკეების კრიტიკა, რომელიც მიემართება პაპის მიერ ახლახან შემოღებულ წესის, ერთი და იმავე სქესის წყვილთა დალოცვის შესახებ. (აჰა ესენიც გაბრაზებულან ჩემსავით!).

პაპის პასუხში ხაზგასმულია, რომ წესი ერთი და იმავე სქესის წყვილთა დალოცვას უშვებს იმ შემთხვევაში, თუკი ეს არ იქნება ეკლესიის რეგულარული რიტუალის ნაწილი და არც სამოქალაქო კავშირებთან ან ქორწინებასთან არ ექნება ბმა. ერთი და იმავე სქესის წყვილთა დალოცვის შესახებ ფრანცისკეს მიერ გასულ თვეში გამოცემულ დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ სქესობრივი კავშირები ნებადართულად ითვლება მხოლოდ კაცსა და ქალს შორის ქორწინებაში...

ამდენ ბრიბრუს მარკოზის სახარება გადაე-

შაალა დააა წაეკითხააა (ამდენი „ა“ საქმისთვის მივაწერე!): ხოლო დასაბამითგან დაბადებისაით მამაკაცად და დედაკაცად შექმნნა იგინი ღმერთმან და თქუა: ამისთვის დაუტეოს კაცმან მამაი თვისი და დედაი თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა.

და თუ არ იქმნ ამას და კაცსა და ქალს შორის ღვთის დადგენილ წესს დაარღვევ, მოსოდოგომორდები. არჩიე მერე „ერთი და იმავე სქესის წყვილთა დალოცვა, იქნება თუ არა ეკლესიის რეგულარული რიტუალის ნაწილი.“

„ვისაც სურს ღმერთის ნება გაიგოს, მან ჯერ საკუთარი ნება უნდა მოაკვდინოს,“ - ღირსი იოანე სინელი. სხვათა შორის ეს სიბრძნე ყველასთვის სავალდებულოა, მით უმეტეს რომის პაპისთვის. „ღვთისა უფრო მეტად უნდა გვეშინოდეს, ვიდრე ადამიანების და ღმერთს უფრო მეტად უნდა ვუსმინოთ, ვიდრე ადამიანებს,“ ამბობდა წმინდა ნიკოლოზ სერბი.

დიდი ეჭვი მაქვს რომელიმე „დოუღალავი და თავის გამეტებით მკვრელი საცხა-საცხა“ არასამთავრობოდ „თქმული“ სამახათო კანტორა მოიროყიოებს ამის წაკითხვის მერე და წინასწარ მივცემ გადასარევ თემას საომრად და თავის სარჩენად: ხალხურ სიმღერაში არის თქვენთვის საკბილო ადგილი, რითაც თქვენ შორის ყოჩაღს დისერტაციის დაცვაც კი ხელეწიფება, ხოლო უვარგისი კი „მჟავე“ დოლარის უმცირეს კუპიურას ებდღვნება. აბა ყურადღებით: ყურწიწკნიაზე

ვისვრი: „მტერო დამჩაგრე არ ვსტირი, ტირილი დიაცთ წესია.“ აი, როგორ ვზრუნავ თქვენთვის. მობრძანდით და დაწერეთ, იჩხუბეთ მამალმა ფემინისტებმა და ქალაბიჭებმა: „ჩაკრულო“ გენდერულ ბალანსს არღვევსო, რატომ არის ტირილი დიაცთ წესიო და სხვა ამგვარები. ბოლოს იქამდე დახვალთ, სადაც დღეს ბრძანდებით და ...გრანტები და გრანტები. აი, ეს არის ზოგის ცხოვრების თავი და ბოლო.

ბედნიერი 2024-ე ქრისტეშობა გაგითენდეს ჩემო საქართველო!

ჩვენი სათაყვანებელი პატრიარქის საშობაო ეპისტოლემ გამაოცა თავისი სიღრმით და ყოვლისმომცველობით: „ქრისტეს ეკლესიის სახით სათავე დაედო მაცხოვნებელ წიაღს, რომელსაც მიწიერი წარმომავლობა არა აქვს, ზეციურია, ღვთისგანაა დაფუძნებული და წარუვალი, თუმცა ამქვეყნად მყოფობს.“...“ უფლის მეორედ მოსვლამდე, ანუ მარადიული სასუფევლის დამყარებამდე, მუდმივად იქნება ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, მუდმივად დაგვჭირდება სულ უფრო მეტი ძალისხმევა სიწმინდის დასაცავად, რადგან ეს დაპირისპირება თანდათან უფრო მასშტაბურ ხასიათს იღებს.“...“ შემოქმედის ადგილი ადამიანმა თავისი თავით ჩაანაცვლა. წინ წამოიწია პრინციპმა,- ჩემი მორალი და შეხედულება განსაზღვრავს ჩემს რწმენას; მაშინ, როდესაც სწორედ რწმენა ღვთისა და მისმიერი მცნებები

განსაზღვრავს მორალსაც და შეხედულებებსაც.“... და ყოვლისმცოდნე ბრძენმა პატრიარქმა იქვე ბრძანა:“ შეძლებს ადამიანი, გააერთიანოს ქრისტიანული ცხოვრების წესი და ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები და ღვთის სადიდებლად მიმართოს იგი?“ ჩემო პატრიარქო! მე ვიცნობ ადამიანს, რომელიც დღემუდამ იღწვის ღვთის სადიდებლად მიმართოს ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები და ჩემი ეს წიგნი ამ ადამიანზეა დაწერილი.

დასაწყისი

გათენდა 8 იანვრის დილა. საშუალოდ ცივა. გუშინ ლამის 10 წლის წინ ჩაწერილი „ცინცხალი“ ვნახე, ძალიან მომეწონა. კიდევ უფრო მომეწონა იმავე ჟამს გადაღებული „ზღვის მუზეუმი“ ჯუმბერ პატიაშვილის ინტერვიუს თანხლებით და კლიპით, რომელიც ზურაბ წერეთელის შემოქმედებას ასახავს. მაშინ წერეთელს არ ვიცნობდი. პირველად გასულ წელს დამირეკა და ქება-დიდებით ამავსო, შენმა გაკეთებულმა სიუჟეტმა ისე გამახარა (მის გამოფენას ეხებოდა ჩინეთში), გავცოცხლდიო და მოსკოვში დამპატიჟა ოჯახით. მადლობა გადავუხადე და ვუპასუხე, ცოტა მოგვიანებით აუცილებლად გეწვევით-მეთქი. როცა მსოფლიოს უპირველესი მოქანდაკე ასე გაქებს, საკუთარი პერსონის მიმართ რწმენა გემატება და რაღაც სიკეთის ჩადენის სურვილი გიპყრობს. მე ასე მემართება და სხვაზე ვერაფერს მოგახსენებთ. როცა ის“ რაღაც“ დავამთავრე, თავისუფლად ამოვისუნთქე. ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა. ადრე გადაღებულ „ზღვის მუზეუმს“ აწ გარდაცვლილი ჯონი ჯანელიძე ახმოვანებს, უნიჭიერესი და მრავალმხრივი პიროვნება, კარგი კაცი...

„ძვირფასო დებო და ძმებო, ჩვენ ბედნიერი ვართ იმით, რომ შეგვიძლია ბევრად უფრო აღმატებული ძღვენი მივუტანოთ მაცხოვარს მოგვებ-

თან შედარებით: ოქროს მაგივრად მივართვათ ჩვენი რწმენა, გუნდრუკის მაგივრად- სასოება, ხოლო მურის ნაცვლად- სიყვარული. რწმენა-ცოცხალი, გულწრფელი, მზად მყოფი თავგანწირვისთვის და თუ საჭირო გახდა, სიკვდილისათვისაც;“ -მეუფე შიო. აი ასე. დიდებულად და ლამაზად მოცემულია ქრისტიანის სამოქმედო პროგრამა, სულის გადარჩენის რეცეპტი წუთისოფელში. რწმენა, სასოება და სიყვარული მოგვმადლოს უფალმა და დაგვებედოს ძველით ახალ წელს ქართველებო და საქართველოს მოყვარულნო ყოველნო ღვთის გაჩენილნო. ... და დღეს 9 იანვარს სურვილი მაქვს დავიწყო ახალი წიგნის წერა მამაპაპური წესით ანუ კალმით.

ამ წიგნის შესავალში პატრიარქს აღვუთქვი, რომ ადამიანი, რომელიც იღწვის ღვთის სადიდებლად მიმართოს ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები მეგობარია ჩემი და ეს წიგნი სწორედ მასზეა დაწერილი. ეს გახლავთ გია ნადარეიშვილი. მის ტიტულებს არ ჩამოვთვლი, არც ჯილდო-აღიარებებს. ერთს კი განგიცხადებთ- ამ კაცს ჰყავს ყველაზე მეტი მეგობარი და მტერი ამ ქვეყანაში და ქრისტიანული სიყვარულით უყვარს ისინი და ერთმანეთისგან არ არჩევს.

უკვე ორ წელზე მეტია ერთად მიგვყავს გადაცემა „მომავლის ტექნოლოგიები“ ქართულ ტვზე და საკუთარ თავივით ვიცნობ და ვენდობი, თუმცა არც მის ზედმეტად შექებას და არც მძა-

ფრად გაკრიტიკებას ვაპირებ. უბრალოდ, სიმართლეს მოგახსენებთ გია ნადარეიშვილზე.

ჩვენი ურთიერთობა დაიწყო მას შემდეგ, როცა კოვიდისგან მიმხრჩვალნი მე და ჩემი მეუღლე რამდენიმე დღეში გამოგვაბრუნა და 40 წლიანი ბრონქიალური ასთმა მოგვაშორა. ე, მაშინ დაიწერა „პროფესორ გია ნადარეიშვილის ჯილდო“, რომლის წინასიტყვაობა დიდმა რევაზ მიშველაძემ დაწერა და რამდენიმე ათასიანი ტირაჟით გამოსცა ბატონმა ზაურ ნაჭყებიამ. აქედან დაიწყო ახალი ეტაპი ჩვენს მეგობრობაში და „წეროვნის ექსპერიმენტი“, რომელსაც ვუძღვნი ამ წიგნის პირველ თავს...

წეროვნის ექსპერიმენტი

წიგნი გია ნადარეიშვილზე 2021 წლის შემოდგომაზე გამოვიდა. ზუსტად ამ დროს მე და ჩემი უფროსი მეგობარი ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი მიგვიწვიეს ყვარელში და გამგზავრების წინ ორი წიგნი ვუსახსოვრე მას. ბატონმა ჯუმბერმა ერთი წიგნი იქვე გადასცა მეუღლეს – ქალბატონ თინას და დაუბარა, ნუგზარი ჩამოვა წეროვნიდან, გადაეცი, მისი მოსაზრება მაინტერესებსო... ყვარელში ყოფნისას თავად გაეცნო წიგნს, მაგრამ არაფერი უთქვამს. მე და გია კი ერთგვარი განაჩენივით ველოდით, რას იტყოდა ქვეყნის მთის და ბარის ყველა საიდუმლოს მცოდნე ბრძენკაცი და ერთი კვირის შემდეგ სტუდიაში ჩასაწერად შესულთ, ბატონი ნუგზარ ბედიანაშვილი დაგვადგა თავზე. სიხარულმა აგვამაღლა. გადაცემაც გემრიელად ჩავწერეთ.

ჩანაწერის ეთერში გასვლისთანავე პირადად მოწვევა მივიღეთ ბატონ ჯუმბერისგან, ავსულიყავით წეროვანში, სადაც ის საკუთარ მამულში, მიწის ნაკვეთს მოგვცემდა და ჩვენთან ერთად დააკვირდებოდა იმ ახალ ტექნოლოგიებს, რაზეც ვწერდით და ვსაუბრობდით.

და 2 პრილს, 2022 წლის დაიწყო წეროვნის ექსპერიმენტი: დილის 11 საათზე მე, გია ნადარეიშვილი, მიხეილ ანდღულაძე, როლანდ კილაძე, გია სანაძე და ჩემი ძმისშვილი და სეხნია

ზაალ ნემსაძე, უკვე წეროვანში გახლდით და ბატონ ნუგზარის (სწავლული აგრონომი) მიერ დაკვალულ ნაკვეთში ვფუსფუსებდით. შრომის პროცესს თავიდან ბოლომდე ქართული ტვ-ის შესანიშნავი ოპერატორი და გადასარევი პიროვნება ნიკა მესხიძე იღებდა. დაითესა ხორბალი, სიმინდი და ბახჩეული კულტურები. მანამდე კი ნადარეიშვილმა და ნუგზარმა ნაკვეთი ჰომეოპათიური წყლით მორწყეს.

ნაკვეთის ერთი ნაწილი ჩვეულებრივი წყლით მოირწყა, რათა ექსპერიმენტის ბოლოს გვენახა ნადარეიშვილის ჰომეოპათიური წყლის უპირატესობა... ექსპერიმენტის პირველ დღეს მოგვიანებით დავუბრუნდებით, ახლა კი, 2 აპრილიდან იმავე, ანუ 2022 წლის 24 სექტემბერს გადმოვხტეთ და შედეგები ვნახოთ...

ნუგზარი: – ბატონმა გიამ ბრძანა, მთელ მსოფლიოს მოვამარაგებ ჩემი ჰომეოპათიური ფხვნილითო. ჩვენმა ექსპერიმენტმა დაადასტურა მისი ნათქვამი. იცით რამდენი ფხვნილი გამოვიყენეთ ამ ექსპერიმენტის მანძილზე? 1 გრამი დაახლოებით. დიახ, არ მოგესმათ. ერთი არასრული გრამი! ჯერ გავხსენით ერთ ლიტრა წყალში, მერე ეს წყალი გავაზავეთ ორასლიტრიან კასრში და იმ გაზავებული პრეპარატით ვმოქმედებდით ამ მცენარეებზე.

სულ ოთხი შესხურება გავაკეთეთ: ერთი თესვის დროს; მეორე შესხურება ჩავატარეთ ბა-

რტყობის ფაზაში; მესამე – აღერების ფაზაში და მეოთხე – დათავთავების პერიოდში. ნაკვეთში ორი დანაყოფი გვქონდა: ერთი საკონტროლო, მეორე ბატონი გიას პრეპარატით დამუშავებული. როცა მოსავალი მოვიდა, ავიღეთ ცალ-ცალკე ნაკვეთიდან 10-10 თავთავი, დავამუშავეთ, დავითვალეთ თითო მათგანში რამდენი მარცვალი იყო, მერე ავწონეთ და აგერ გვაქვს დაფიქსირებული ცხრილში.

მოსავლის აღების შემდეგ ათას-ათასი მარცვალი გამოვყავით ორივე დანაყოფიდან. საკონტროლოში გამოვიდა ერთი თავთავიდან – 38,5 მარცვალი; გიას დამუშავებულით – 41,7. ერთი თავთავის მასა საკონტროლოსი – 1,72; გიასი – 1,83; ათასი მარცვლის მასა საკონტროლოში იყო 36,1 გ, ხოლო გიასთან – 37,6 გ; ხოლო საერთო მოსავალი შესაბამისად 1,4 კგ. და2,0 კილოგრამი; და ეს 4 კვ.მეტრზე და თუ გადავიყვანთ ჰექტარზე, საკონტროლოში გამოვა 3,5 ტონა, ხოლო გიასთან 5 ტონა. როგორც საგაზაფხულო ხორბალი, 3,5 ტონაც ძალიან კარგი მოსავალია, მაგრამ 5 ტონა საგაზაფხულო ხორბლისთვის, მინერალურ – ორგანულ სასუქის გამოყენების გარეშე, ყოველგვარი განოყიერების გარეშე არის ძალიან მაღალი მოსავალი და თუ თანხაზე გადავიტანთ, გამოდის, რომ მივიღეთ 5 ათასი ლარის მოსავალი ათასი ლარის დახარჯვის ფასად.

ასეთივე კარგი შედეგები მივიღეთ სხვა კულ-

ტურებზე, მათ შორის ბაღჩეულზე. პომიდორმა კილოგრამიანი ნაყოფი გამოისხა, გემოთი წინა საუკუნის 50-იან წლებში დაგვაბრუნა...

ბატონი ნუგზარმა თავისი შეფასებებით ყველა გაგვახარა, უკმაყოფილო სახე მხოლოდ ნადარეიშვილს ჰქონდა.

– ბატონო გია, აღტაცებას ვერ გატყობთ, არადა მთლად ხელწამოსაკრავი შედეგი არ გაქვთ, – ვეუბნები.

– უკეთესიც შეიძლებოდა, – ამბობს, – ჩემი შეცდომაა, რომ დასაწყისში არასწორად შევარჩიე გაზავება. ვფიქრობ ამაზე სამჯერ მეტ მოსავალს მივიღებთ მომავალში. ახლა ვიცი ის, რაც ამ ექსპერიმენტის წინ თეორიულად ვიცოდი, როცა ბატონმა ჯუმბერმა ბრძანა, რომ დანაშაული იქნება ამ ექსპერიმენტის შეწყვეტაო, ცამდე მართალი იყო. გავაგრძელებ, ვიდრე მსოფლიო რეკორდს არ დავამყარებთ (10,3 ტონა 1 ჰა-ზე). მადლობა ღმერთს, კვანტური მექანიკა იძლევა უკიდეგანო შესაძლებლობებს. მთავარია,მაგარი გუნდი შევიკრიბეთ და ვიბრძოლებთ..

ახლა ისევ 2 აპრილს დავუბრუნდეთ: ვიდრე თესვის პროცესი მიდიოდა, მე ჩემი საფიქრალი მქონდა: როგორ დამეყოლიებინა ბატონი ჯუმბერი გადაღებაზე. ბევრი ჟურნალისტი და ტელევიზია წასულან ამ ეზოდან ხელმოცარულნი. ამ კაცზე 7-სერიანი ფილმი მაქვს გადაღებული, მაგრამ მაშინ დიდმა რეზო ჩხეიძემ ძლივს დაითა-

ნხმა და ახლა... თესვა დამთავრდა, გია და ზალიკო-უმცროსი დამადგნენ, მზად ვართ ჩვენო. მე ვზივარ და პირველად, არ ვიცი გადაღების დროს, საით მივაშვერიო კამერა ოპერატორს და უცებ ბატონი ჯუმბერი მომიახლოვდა და მითხრა: ბამბუკების ფონზე გადავიღოთ თუ სახლის...ჩემზე მეტად გია და ზალიკო გაოცდნენ. ..ბამბუკების ფონი ვარჩიე გახარებულმა...

გადავიღეთ ქართულად და ინგლისურად. დღესაც ვთვლი, რომ სწორად მოვიქეცით. დღეს ბევრ ქვეყანაში იყენებენ ნადარეიშვილის წამალს და მომავალში კიდევ უფრო მეტი გაჰყვება ამ გზას და იცოდნენ, როგორ იწყებოდა წეროვნის ექსპერიმენტი და ვინ იდგა მის სათავეებთან.

რა შედეგები მოგვიტანა წეროვნის ექსპერიმენტმა? ხორბლის მაღალი მოსავალი მცხეთის, გორის, კახეთის თითქმის ყველა და ქვემო ქართლის იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც გამოვიყენეთ ბატონი გიას წამალი. ბევრგან მივიღეთ მზესუმზირის, სიმინდის, კიტრის, პომიდორის, და სხვა ბახჩეული კულტურების სარეკორდო მოსავალი. ცალკე აღსანიშნავია ვაზი და ფუტკარი და ის საოცარი ზემოქმედება, რაც მათზე მოახდინა გიას პრეპარატმა. ერთს გეტყვით – დედაფუტკარი 8 წლის ასაკშიც ინარჩუნებს ყველა თვისებას. მეტის ჩამოთვლით აღარ დაგღლით. ვინც დაინტერესდით, ეს ყველაფერი შეგიძლიათ საკუთარი თვალით იხილოთ. გადაღებულია ქართული ტვ-

მიერ და ატვირთულია ფეისბუკზე და იუთუბზე: აკრიფეთ: მომავლის ტექნოლოგიები გია ნადარეიშვილი და მობრძანდით „წეროვნის ექსპერიმენტის“ სამყაროში.

ვისაც გინახავთ ვიტორიო დე სიკას 1970 წელს გადაღებული ფილმი „მზესუმზირები“ სოფი ლორენისა და მარჩელო მასტროიანის მონაწილეობით, ზუსტად იმგვარი მზესუმზირების დიდი ფართობი ვიხილე სიღნაღის მუნიციპალიტეტში.

ლამის ოცდაათი კილომეტრი ვიარეთ მზესუმზირებით მოფენილ ველზე და უცებ გიამ შეყვირა, აი ეს არის ჩემიო. მართლაც გამორჩეული ყანა ვნახეთ: საუკეთესო მზესუმზირები ამ ველზე.

2022 წლის 2 ივლისის მცხუნვარე დღე იყო. ასეთი ყანა ვიტორიო დე სიკას არც მოელანდებოდა. გია გაიქცა, მზესუმზირებში შევარდა, ხელები გაშალა და მლოცველივით აღაპრო ცისკენ... და ასე დარჩა. ნიკა მესხიძის კამერამ მყისვე დააფიქსირა ეს... სიტყვები ვერ გავარჩიეთ მაგრამ ეს იყო ლოცვა შემოქმედის მიმართ იმ წყალობისთვის, რასაც ის გვაძლევს.

აღფრთოვანებული ვარ, – ზეიმობდა გია, – ეს მხოლოდ ჰომეოპათიური წყლის შედეგია. ჰექტარზე 1,8-2 ტონა მოვა. ზეთის გემოზე კი საერთოდ არაფერს ვიტყვი. გაამართლა თეორიამ და პრაქტიკამ, ასეთ შედეგს არ ველოდი. მთავარია ეს არის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი. აქ გაიღვიძა იმან რასაც დიდი ხნის განმავლობაში ეძინა.

ეს ერთ-ერთია იმ სასწაულებს შორის რაც ორი წლის განმავლობაში გვაჩვენა ამ საოცარმა კაცმა, რომელიც სასწაულების სამყაროში გვამყოფებს.

ნეტავ გენახათ, როგორ უხაროდა აკაკის სახელმწიფო მუზეუმის ჭარმაგ და მრავლის მნახველ დირექტორს, ბატონ ცეზარ ლაშხს, როცა გიას გაცოცხლებულ აკაკის დარგულ კაკლის ხეებს შეხაროდა.

„ამ ხეებთან ერთად თითქოს აკაკი გაცოცხლდაო“, – იძახდა და გიას მოწიწებით შეცქეროდა.

„დარწმუნებული ვიყავი, გაცოცხლდებოდნენო“, – თქვა გიამ და ერთ ხეს ხელი ისე მოუტყაპუნა თითქოს ძმაკაცს ამხნევებსო.

„მგონი ხის ენაც იცით თქვენ“, გაეცინა ცეზარს.

„ასეა, ამის წამალი რომ აქედან მიდის, ხის შუაგული იქედან მოდის, გიას სიახლოვეს გრძნობს და თავის გასაჭირს უამბობს“, – თქვა გია სანაძემ.

ეს სცენა სხვიტორში იყო აკაკი წერეთლის ეზოში.

გია ნადარეიშვილი – ექიმი-ჰომეოპათი

გიას მეგობრებს ხშირად გვავიწყდება, რომ იგი პირველ ყოვლისა ექიმია და მერე მიწათმოქმედი, იმდენად გაგვიტაცებს ხოლმე მასთან ერთად სირბილი მთასა და ბარში ნათესების დასათვალიერებლად. საბედნიეროდ თავად არ ავიწყდება რისთვისაც მოავლინა უფალმა წუთისოფელში და არც პაციენტებს ავიწყდებათ თავიანთი მხსნელი – არ ვაჭარბებ!!! ბევრი მისი ყოფილი და ახლანდელი პაციენტი (ვიმეორებ ამ სიტყვას) დღემდე მზეს იმიტომ ვუყურებთ, რომ უფალმა ასეთი მკურნალი გამოგვიგზავნა. ახლა მინდა წარმოგიდგინოთ რა დაავადებებს კურნავს იგი.

დავიწყებ თრომბით: ეს არის სასტიკი და ვერაგი მტერი ადამიანისა, რომელმაც რამდენიმე ნაცნობი წამართვა ამ ბოლო ჟამს.

გია ცოტა ხნით დაფიქრდა და მკითხა: – ხომ სვამ წამალს? – კი, დღეში ორჯერ ორ-ორ წვეთი, ვუპასუხე ყოჩაღად.

მკითხველს ვეტყვი, რომ არ დაველოდე, ვიდრე თავად მომაკითხავდა თრომბი ან მისნაირი და ნადარეიშვილის წამლის მიღება დავიწყე რამდენიმე მეგობართან ერთად.

„თრომბის წარმოქმნას შეიძლება რამდენიმე მიზეზი ჰქონდეს, – ამბობს გია, – ნებისმიერი პატარა ტრამვა შეიძლება გახდეს ამის საბაბი.

ორგანიზმს აქვს უნარი, ტრამვას შეებრძოლოს სისხლის შედედებით და სისხლდენა შეაჩეროს, მაგრამ იგივე ორგანიზმი იძლევა კარნახს და ამ დროს იგივე შედედება შეიძლება რამდენიმე სხვადასხვა ადგილას წარმოიქმნას. ეს არის სწორედ საფრთხე. თრომბის საწინააღმდეგოდ მე ვხმარობ გველის შხამს. ნებისმიერმა ექიმმა იცის, რომ თუ გველმა უკბინა, ადამიანის სისხლი ჰკარგავს შედედების უნარს და შეიძლება სისხლისგანაც კი დაიცალოს. ამიტომ ამ გველის შხამით დამზადებულ ჰომეოპათიურ წამალს ვაძლევთ ორგანიზმს და ძალიან კარგად მუშაობს. უამრავი პაციენტი მყავდა ამ პრობლემით და ყველგან გაიწოვა ეს თრომბი. ალბათ გაგიჩნდათ კითხვა, როგორ გავიგოთ, რომ თრომბი გემუქრება? თუ გრძნობთ სახსრებში წვას ან სიმძიმეს, გაიკეთეთ სისხლის ანალიზი და...

...და მერე უკვე იცით ვისაც უნდა მიმართოთ. მე მანამ მივაკითხე ექიმს, ვიდრე თრომბი და მასზე უარესი მომაკითხავდა. სხვათა შორის, ბატონი გია ნადარეიშვილიც ამას ბრძანებს: -მხოლოდ ავადმყოფი კი არა, ჯანმრთელი ადამიანიც უნდა მიმართავდეს ჰომეოპათს პროფილაქტიკის მიზნით. ყველა დაავადება ორგანიზმში, ესაა ენტროპიის დარღვევა ანუ ელექტრომაგნიტური ინფორმაციის დაგროვება უარყოფითი ტალღების სახით.

დიაბეტი პირველი და მეორე ჯგუფის – თრო-

მბი, ზოგადად უფრო იოლი სამკურნალოა, მაგრამ არც დიაბეტია მოურჩენელი,- ამბობს გია, – გააჩნია პანკრეასის მდგომარეობას. თუ მისი 30% ცოცხალია, არსებობს შანსი დაიწყოს პანკრეასის სრული აღდგენა. შეიძლება ბოლომდე ვერც აღდგეს, მაგრამ ორგანიზმს აქვს უნარი, რამდენიმე უჯრედმა აიღოს ეს ფუნქცია. არის კიდევ ერთი საშუალება ყოველგვარი წამლის გარეშე. ადამიანს თავად შეუძლია პანკრეასის დამუშავება. მისი სავარაუდო ადგილი ყველამ იცის. საჭიროა გარედან ამ ადგილზე თითების მძლავრად დაჭერა და ტკივილი, რომელსაც ამ დროს იგრძნობთ, სიგნალს აძლევს მთელ ორგანიზმს და ის იწყებს ბრძოლას გადარჩენისთვის ანუ ორგანიზმი რთავს თავის დამცავ მექანიზმებს. ეს დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ ასპექტთან. ორგანიზმს ნიშანი მისცეს, გაერკვას და ის მექანიზმი, რომელიც მანამდე გაჩერებული იყო, ჩაირთოს. ადამიანის ორგანიზმი ღმერთმა ისე უნივერსალურად შექმნა, რომ სწორი მიდგომით, შეუძლია მოიშოროს ნებისმიერი პრობლემა.

ჩიყვი – ამის პრობლემა ადრეც იყო. ბავშვობაში ბევრი ადამიანი გვინახავს არაბუნებრივად გამობერილი ყბით ან სახის სხვა ნაწილით. ჩიყვი ჰომეოპატისთვის, პირადად ჩემთვის ძალიან იოლი სამკურნალოა, ხშირად ოპერაციის გარეშე. ზოგჯერ შეიძლება იმხელა იყოს, რომ ოპერაციას ვერ ავცდეთ. ჩემს ახლობელს გავუ-

კეთე ოპერაცია.იქ იყო სიმსივნე და წამლებით სამკურნალოდ დრო არ გვყოფნიდა. იმის მერე სულ ჩემს წამლებზეა და ჩიყვი აღარც ახსოვს. აი, ეს გახლდათ კლასიკური მედიცინის და ჰომეოპათიის სინთეზი. ჩემთვის დაავადებასთან ბრძოლის ყველა მეთოდი მისაღებია. თუ ის სწორადაა დანიშნული. მთავარია ჰიპოკრატეს ფიცს არ ვუღალატოთ!

ალცჰაიმერის დაავადება უფრო გენეტიკური პრობლემაა. ფიზიკიდან გამომდინარე ისევ ენტროპიასთან მოვდივართ. ზედმეტი უარყოფითი ენერგია იწვევს ცვლილებებს უჯრედების დონეზე, ქრომოსომის დონეზე და ამის განსაკურნებლად კარგად მოქმედებს ავადმყოფის სისხლისგან გაკეთებული წამალი, იმიტომ სისხლი მატარებელია ორგანიზმის მთელი ინფორმაციის. იღებ ამ სისხლს, ამდიდრებ ჰომეოპათიურად და უბრუნებ ორგანიზმს და იქ ასრულებს ის კეთილი აგენტის ფუნქციას, ჩართავს დამცავ მექანიზმს და უამრავი დაავადება, რომელიც ჰგონიათ რომ არ ინკურნება, ამ მეთოდით უკან იხევს.

ანუ თქვენ კურნავთ ამ დაავადებას?

– გააჩნია მკვდარი უჯრედების რაოდენობას. თუ ის კრიტიკულ რაოდენობას ძალიან გადაცილებული არ არის, ავადმყოფი ინკურნება.

– ავადმყოფი როგორ უნდა მოიქცეს?

– ამას ვერ იტყვი, ვიდრე პაციენტი არ დაიწყებს წამლის მიღებას. ერთი კვირის თავზე გა-

მოჩნდება დადებითი ან უარყოფითი დინამიკა. იგივე შემიძლია გითხრათ პარკინსონის დაავადებაზეც. ახლა კი რატომღაც ყველას D ვიტამინს უნიშნავენ. საკვირველია ადრე სად იყო ეს ვიტამინი? როგორ მოვედით აქამდე უიმისოდ? მე ვამბობ, მეტი იარეთ მზეზე და ჰაერზე! ყველა ვიტამინზე სასარგებლოა.

– გულსისხლძარღვთა დაავადებები...

– გველის შხამი იდეალურად მუშაობს სისხლძარღვებზე. პრობლემა იწყება ქოლესტერინის დალექვით და ეს დალექვა უნდა გაიწმინდოს .ჩემი წამალი ძალიან კარგად კურნავს ამ დაავადებას.

– ართრიტი, ართროზი, ოსტეოქონდროზი...

– ართროზი არ ინკურნება. ჩვენი წამლებით შეიძლება შევაჩეროთ პროცესი, მივიღოთ უკეთესობა, მოვუხსნათ ტკივილი, თორემ არ ინკურნება. ართრიტი უფრო მტკივნეულია, მაგრამ მისი განკურნების მეტი შანსი გვაქვს. პაციენტებს ვაფრთხილებ, ჩემი წამლის მიღების შემდეგ ტკივილი მოგემატებათ, მიიღეთ ტკივილგამაყუჩებელი, მაგრამ საბოლოოდ იქნება სრული განკურნება. რაც შეეხება ოსტეოქონდროზს, ყველა ჩვენგანი ვატარებთ ამ დაავადებას. ამიტომ პაციენტებს მე და ქალბატონი მარინა (მარინა რევაზიშვილი – ექიმი ენდო-კრინოლოგი) ვთავაზობთ ცხენით სეირნობას. ეს არის ამ დაავადების პირველი წამალი და ცურვა, მაგრამ ცხენოსნობა პირველია.

– მე ცურვა მირჩევნია, რადგან ჩემი წონის გამო სპილო ან აქლემი დამჭირდებოდა.

– ჩვენს წინაპრებს ალბათ მხოლოდ ღრმა მოხუცებულობაში აწუხებდათ ეს პრობლემა თავიანთი ცხოვრების წესის გამო.

– თიაქარზე რას იტყვით?

– 18 მილიმეტრიანი ხერხემლის თიაქარი გაიწოვა, გააქრო ჩემმა წამალმა, ყველა გაოცებული დარჩა, ჯერ-ჯერობით ეს იყო ყველაზე დიდი ხერხემლის თიაქარი ჩემს პრაქტიკაში. რაც შეეხება სხვა თიაქრებს, თუ ძალიან დიდი ზომის არაა, მკურნალობა შეიძლება, თუ არა და ოპერაციაა საჭირო. ხერხემალზე კი მშვენივრად მუშაობს ჩვენი წამალი. ვიცი მკითხავთ და გეტყვით ანევრიზმაზეც: აქაც იგივე პრობლემაა. გააჩნია სანამდეა პროცესი წასული. თუ ძალიან დიდი ზომისაა და შეიძლება გასკდეს და სისხლჩაქცევაა მოსალოდნელი, არ ვრისკავთ ოპერაციის გაკეთებას ვურჩევთ. თუმცა თუ სასწრაფო არ არის, მაშინ ჩვენ თავზე ვიღებთ მკურნალობას და საქმე ბოლომდე მიგვყავს. ბევრს აქვს პროსტატის პრობლემა. ჩვენ გვაქვს ამის წამალი და ხალხიც კმაყოფილია, მაგრამ ყველაზე კარგი წამალია დღეში რამდენიმე კილომეტრის ფეხით გავლა.

– და კიდევ ერთი პრობლემის შესახებ, რასაც „უშვილობა“ ჰქვია. ვიცი, რომ ერთი ძლიერი და მრისხანე სახელმწიფოს პრეზიდენტის ოჯახის

წევრი თქვენს კლინიკაში მკურნალობის შემდეგ მშობელი გახდა...

იცით, რომ 300-ზე მეტი ბავშვის ნათლია ვარ. ყველა მათგანი მათი მშობლების ჩვენს კლინიკაში ვიზიტის შემდეგ მოევლინენ ამ ქვეყანას. მერე ჩემმა მეგობარმა მამაომ მითხრა და ამიხსნა რა პასუხისმგებლობა აკისრია ნათლიას ღვთის და ნათლულების წინაშე და... ნათლულების რიცხვი აღარ გამიზრდია, უშვილოებს კი დღემდე ვკურნავ. აქ შეიძლება სხვადასხვა პრობლემა იყოს, უმეტესად კი ფსიქოლოგიური. ადამიანს ისე ძალიან უნდა დაფეხმძიმდეს, რომ არ რჩება. აძლევ ფსიქოლოგიურად დამაწყნარებელ წამალს და ყველაფერი რიგზეა. მქონია შემთხვევა, დავალევინე წამალი და იმ დღესვე ფეხმძიმედ დარჩა, ბავშვი ჩემი ნათლული გახდა.

ეს საუბარი სატელევიზიო ფორმატში ჩაიწერა და სად შეგიძლიათ ნახოთ, ზემოთ უკვე მოგახსენეთ და იქვე იპოვით ნადარეიშვილის მიერ დამარცხებული სხვა დაავადებათა, მათ შორის სიმსივნის,ნუსხასაც. და ყველაფერი ეს კეთდება ღვთის და მოყვასის სიყვარულით და ქველმოქმედებით. ამ კაცს სხვაგვარად ცხოვრება არ შეუძლია და მისი უსაყვარლესი მოციქულის, იესოს უსაყვარლესი მოწაფის, წმინდა პეტრეს გზის გაყოლას ცდილობს. აი, რას იმეორებს გია ნადარეიშვილი ყველაზე ხშირად:

„კურთხეულია ღმერთი და ჩვენი უფლის იესო

ქრისტეს მამა, რომელმაც თავისი მრავალი წყალობით ხელახლა გვშვა ჩვენ იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომით ცოცხალ იმედად.

უხრწნელი, შეუბილწავი და უჭკნობი მემკვიდრეობისათვის, რომელიც ცაშია შენახული თქვენთვის.

ღვთის ძალაში, რწმენის მეშვეობით დაცულებო ხსნისათვის, რომელიც მზადაა უკანასკნელ ჟამს გამოსაცხადებლად.“ – პირველი პეტრე,..3-5.

და, რაც მთავარია, ჩვენ ლოცვას დიდი პასუხისმგებლობით ვუდგებით და გვწამს, ლოცვის გარეშე ამაოა და დროის ფლანგვა წუთისოფლად ადამიანის ყოფა!!!

ნადარეიშვილს კლინიკის ზღურბლი 30-ზე მეტი ქვეყნის მოქალაქეს გადაულახავს. მის პაციენტებს შორის არიან თითქმის ყველა კონტინენტის წარმომადგენლები. მის მიერ ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციებს ბევრი ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებოდნენ და გია ნადარეიშვილისგან მიქონდათ არა საკუთარი მთავრობების გადატრიალების რევოლუციური იდეები, არამედ ჰომეოპათიის უსაზღვრო შესაძლებობებით ხალხის და გარემოს განკურნების მეთოდები.

მკითხველს კი პირდაპირ ვეტყვი, ნადარეიშვილის კლინიკას მაშინაც კი შეგიძლია მიმართოთ, როცა გამოაჯანმრთელების იმედი გადაწურული

გაქვთ. არ არსებობს დაავადება, რომელიც ბუ-ნებაშია, უცნობი იყოს ბატონი გიასთვის და მისი გუნდისთვის. რასაც ვერ განკურნავენ, ალალად, წინასწარვე გეტყვიან, მაგრამ ყველა დაავადე-ბისგან რომ გარკვეულ შვებას მიიღებთ ამაში თავად დარწმუნდებით მკურნალობის შემდეგ. ოღონდ ყველა წამალი ზუსტად ისე და იმ დროს უნდა მიიღოთ, როგორც ექიმები გეტყვიან.

„განა შეუძლია წუთისოფელს რაიმე დაგვი-შავოს, როცა მისი დამარცხება გარანტირებუ-ლია ქრისტეს გამარჯვებით“, – წმინდა ნიკოლოზ სერბი.

ლოცვის ხელოვნება

როცა ჩემი ქართულის ტკბილმოუბარი მასწავლებელი, დიდი ივანე ქოჩიაშვილი „ოთარაანთ ქვრივს“ გვიხსნიდა. გვთხოვა, ყურადღება მიგვექცია ამ მონაკვეთისთვის: „– მე ჩემთვისაც არა ვლოცულობ, ღმერთი არ შევაწუხო-მეთქი, და თქვენთვის სად ვილოცებდი“, – უთხრა მკვახედ ოთარაანთ ქვრივმა და სიტყვა მოუჭრა.“ – ასეა ყმაწვილებო, – განაგრძო ივანე მასწავლებელმა, – ლოცვა და ღვთის წინაშე დგომა უბრალო საქმე არ გეგონოთ. ნათქვამია, უადგილო ტირილი, მკვდარს ფეხს გააქნევინებსო. ლოცვას თავისი ადგილი, ზომა და წონა აქვს.

მეტი არაფერი უთქვამს იმ სულგანათლებულს. გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, ლოცვისა და ღმერთის ხსენება დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. მისი ნათქვამი სულ მახსოვდა და როცა უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი, შინ მივაკითხე საყვარელ პედაგოგს ამ თემაზე სასაუბროდ.

ხო, ჩემო ზალიკო, – მეუბნება სტუმრობით გახარებული, როცა ეზოში, ლეღვის ჩრდილში გაშლილ პატარა მაგიდას მივუჯექით, -ლოცვა არცთუ უსაფრთხო ამბავია. ზოგჯერ ვივიწყებთ ამას. ლოცვა ღვთის ძალაა და როცა ვლოცულობთ, ჩვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება. რაში გამოიხატება ლოცვის სა-

ფრთხე? იმაში, რომ გისრულდება რაც ითხოვე და არ აფასებ ამას. ა, ბატონო, გადავშალოთ აგერ და „საქმეები“ ვნახოთ: 12: 1-17.

მოკლედ მოგიყვები ამის შინაარსს: ეკლესია ლოცვისთვის შეიკრიბა. ეს ის დროა, როცა მეფე ჰეროდემ მოჰკლა იაკობი და პეტრე ციხეში ჩასვა, რათა პასექის შემდეგ ისიც დაესაჯა. ამიტომ ეკლესია უფლის იმედით სალოცავად შეიკრიბა და ლოცვასაც ერთი კონკრეტული მიზანი და მიზეზი ჰქონდა – პეტრეს გათავისუფლება! ვიდრე ეკლესია ლოცულობდა, ღმერთი მოქმედებდა, მას ზურგი არ შეუქცევია მლოცველი თემისთვის. უფალმა შეისმინა და უპასუხა მათ ლოცვას: პეტრეს მშვიდად ეძინა, როცა უფლის ანგელოზმა გვერდში წაჰკრა, გააღვიძა და... სიკვდილმისჯილთა საკნიდან უჩუმრად გამოიყვანა, ქალაქში შესასვლელ შერკინულ კარიბჭეს გამოაცილა, კიდევ ერთი ქუჩა გაატარა, სამშვიდობოზე გამოყვანილს კი გაშორდა. გონს რომ მოვიდა, პეტრე მიხვდა ვინც იყო მისი მხსნელი და რახან იცოდა, სადაც უნდა წასულიყო, მიადგა კიდეც მარკოზად წოდებული იოანეს დედის, მარიამის სახლს ანუ იმ მლოცველებს, რომლებიც იქ იყვნენ შეკრებილნი და სწორედ მისი გადარჩენისთვის ლოცულობდნენ.

პეტრემ კარზე ფრთხილად დააკაკუნა, დაძახება ან ბრახუნი ვერ გაბედა მეზობლების გაღვიძების შიშით. მოახლე ქალი როდე გამოვიდა

კარის გასაღებად. მან იცნო პეტრეს ხმა და ისე გაბრუნდა უკან ჭიშკარიც არ გაუღია და შეატყობინა მათ, პეტრე დგას ჭიშკართანო. ვინ დაუჯერა? სასაცილოდ აიგდეს.

პეტრე კი განაგრძობდა კაკუნს. ეს მისი ანგელოსი იქნებაო, ამტკიცებდნენ შიგნით. პეტრე მიხვდა, რომ ციხიდან გათავისუფლება უფრო იოლი აღმოჩნდა მისთვის, ვიდრე მლოცველთა შეკრებაზე შესვლა. ხომ არ ჰგავს დღევანდელობას? ანუ რისთვისაც ვლოცულობთ და ღმერთი გვაძლევს, ვაცნობიერებთ ამ საჩუქარს? თუ ვლოცულობთ ერთის მისაღებად და ველოდებით მეორეს? რადგან ...„როცა გაუღეს, დაინახეს და სახტად დარჩნენ“. (საქმ.12-16.) სასაცილოა, როცა ლოცვით იღებ სათხოვარს და სახტად რჩები! მგონია, რომ ეს არის ურწმუნოების მაგალითი.

ოსკარ უაილდი ამბობს, – თქვა ივანე მასწავლებელმა, – როცა ღმერთებს სურთ დაგვსაჯონ, მაშინ გვპასუხობენ ჩვენს ლოცვებზე.

...„და შეუსრულა თხოვნა მათი და მოუვლინა სიმჭლევე მათ სულებს“. ასე სწერია 115-ე ფსალმუნის 15-ში, – შევახსენე.

– ყოჩაღ ზალიკო, კარგი მაგალითია. ძველი ბერძნები ამბობდნენ, – როცა ღმერთები ბრაზდებიან, აძლევენ იმას, რაც მას სურს. როცა უდაბნოში მოხეტიალე ებრაელებს მანანას ჭამა მოსწყინდათ და აწუწუნდნენ, ღმერთმა მწყერები გა-

მოუგზავნა მათ და ვიდრე ისინი ხორცით ტკბებოდნენ, დაისაჯნენ კიდეც ღორმუცელობისა და ურჩობისათვის.

მოსეს მაგალითი ავიღოთ, ღვთის რჩეულის, რომელიც ზოგჯერ უბრაზდებოდა ღმერთს და სთხოვდა, აეცილებინა მისთვის პასუხისმგებლობა. ისიც კი სთხოვა, მომკალიო. მეფე ხუზკიას დამოკიდებულება გავიხსენოთ ლოცვისა და ღმერთის მიმართ, როცა უფალმა მას 15 წლით გაუხანგრძლივა სიცოცხლე და ამ საჩუქარმა იმდენად გააამაყა მეფე, რომ უდიდესი შეცდომები დაუშვა, ხოლო მისი მემკვიდრის დანაშაულების გამო, ღმერთმა იერუსალიმი გაანადგურა. ხუზკიას შემთხვევის მთელი ირონია იმაში მდგომარეობს, რომ რაც მეტს იღებდა უფლისგან, მით მეტს სცოდავდა.

– მასწავლებელო, ზაქარიამ და ელისაბედმაც მიიღეს მრავალწლიანი ლოცვის შემდეგ ღვთისაგან საჩუქარი.

– დიახ. ორივენი მართლები იყვნენ ღვთის წინაშე. ლოცულობდნენ, მაგრამ არ ჰყავდათ შვილი, ვინაიდან ელისაბედი უნაყოფო იყო და ხანდაზმულები იყვნენ. ერთხელ ზაქარიას გაბრიელ მთავარანგელოსი გამოეცხადა და უთხრა, რომ მისი ლოცვა შესმენილია და შეგეძინებათ ვაჟი, სახელად იოანე, რომელსაც ღმერთი განსაკუთრებულ მისიას დააკისრებს. რას იზამდა ამ დროს შვილნანატრი კაცი? ცეკვას დაიწყებდა

სიხარულისგან, მაგრამ არა! სულის სიღრმეში ზაქარიას აღარ ეგონა, რომ ღმერთი შეისმენდა მის ლოცვებს. ხომ არ იქცა ამდენი წლის ლოცვები მის ცხოვრებაში მხოლოდ რიტუალად? მას სურდა დიდი ხნის წინ ასრულებოდა ნატვრა და ლოცვაზე პასუხი მაშინ მიეღო: „მე ხომ მოხუცებული ვარ და ჩემი ცოლიც უკვე ხანდაზმულია“ (ლუკა. 1-18).

პირიქით, იმედგაცრუებულიც კია. შეისმინა უფალმა ჩემი ვედრება, მაგრამ ძალიან გვიან. ამიტომ დაადუმა იგი გაბრიელმა, რაკი არ ერწმუნა მის სიტყვებს, „რომლებიც აღსრულდება დროზე“ და დადუმებული იყო მანამ, ვიდრე არ დაწერა ფიცარზე: „მისი სახელია იოანე“ (ლუკა 1-63). მუდამ გახსოვდეს! უფლისგან თხოვნაზე „ვადის გადაცილება“ უარს არ ნიშნავს! დიახ, არავინ გვყავს უფალზე ერთგული მეგობარი. მას ესმის ყველა ქრისტიანის ლოცვა და პასუსობს: **ა. არა, იმდენად ძლიერ მიყვარხარ, რომ ამ თხოვნას ვერ შეგისრულებ; ბ. არა, ახლა არა, მაგრამ მოგვიანებით მიიღებ, როცა ამისთვის მზად იქნები; გ. კარგი. მეგონა ამას არასოდეს მთხოვდი.**

ამიტომ ფრთხილად ვიყოთ ლოცვის დროს. ნეტარი ავგუსტინე ხშირად ლოცულობდა: „ო, ღმერთო, განმწმინდე მე, გამწმინდე მე!“ და იქვე აყოლებდა: „ოღონდ ახლავეს არა უფალო, არა ახლა უფალო!“ ამიტომ ლოცვის დროს, პირველ რიგში მორჩილება უნდა ვისწავლოთ. მორჩილე-

ბას და მოთმინებას კი ძირითადად მაშინ ვეჩვევით და ვსწავლობთ, როცა მძიმე ცხოვრებისეულ განსაცდელში ვვარდებით. ქრისტიანისთვის არავითარი ადამიანური უცხო არ არის. ქრისტიანები ზოგჯერ კომიკურები ვართ, როგორც პეტრეს ჭიშკარზე დაკაკუნების დროს, მაგრამ ჩვენი ქრისტიანული წარუმატებლობანი მორჩილებას გვასწავლის. ამიტომ არაფერია გასაკვირი ნათქვამში: იყავით ფრთხილად ლოცვის დროს! – თქვენ შეიძლება მიიღოთ ის, რაც ითხოვეთ, – მითხრა დიდმა ივანემ და ოცხანურით გაისველა პირი.

ჩემი ცხონებული მასწავლებლის დამოკიდებულება ლოცვის მიმართ იმდენად მშობლიური და მისაღები აღმოჩნდა ბატონი გიასთვის, რომ უყოყმანოდ განმიცხადა: – უფლის საჩუქარი ღირსეულად უნდა მიიღო, დიდი მადლიერებით და უფლისადმი სიყვარულის კიდევ უფრო გაძლიერებით.

ჯანიკო სიჭინავა – მეფუტკრე

და მინდა მეფუტკრის, ლესიჭინელი მშრომელი კაცის, ჯანიკო სიჭინავას გია ნადარეიშვილისადმი მიმართვა შევთავაზო საზოგადოებას: ბატონო გია, მაპატიეთ იმის გამო, რომ ის მადლი, რაც თქვენგან მივიღე, აქამდე არ გამომიმზეურებია. ამის ბევრი მიზეზი მქონდა, მაგრამ, ახლა რომ ვუყურებ, არც ერთი არაა გამართლებული. ვინანიებ და მაპატიეთ, რომ აქამდე არ დავდევი ვიდეოზე და არ ავიმაღლე ხმა. შიში მქონდა იმისი, რომ დევნაში მოვყვებოდი და ნაწილობრივ, მაინც მოვხვდი დევნაში. კონკურენტები გამიჩნდნენ ჩემი ფუტკრის გამო და ერთმა მეზობელმა დამიწამლა ფუტკარი და 72 ოჯახი მომიკლა. საშინელ დღეში ჩავვარდი. მაშინ დაგირეკეთ და გითხარით, თავი უნდა მოვიკლა. 72 ოჯახი ფუტკარი მომისპო და მალე ყველა დაიხოცება – მეთქი, მაშინ შენ მითხარი, ჯანიკო ნუ გეშინია, დამშვიდდი, რას ჰქვია თავს მოიკლავ, ფუტკარსაც გიყიდი და ისეთ წამალსაც მოგცემ, ერთიც აღარ მოგიკვდებაო. აწი სკაშიც რომ ჩაგისხან საწამლავი, მაინც არაფერი დაემართებათ ფუტკრებსო. რა დამავიწყებს ამას და ასედაც მოხდა.

პოლიციელი რომ მოვიდა, შეძრწუნდა, ბალახი აღარ ჩანდა, მკვდარი ფუტკრებით იყო დაფარული. შენი წამალიც მალე მოვიდა. დანარჩენ 80 ოჯახს მივეცი. ყველა გადარჩა, თუმცა მაში-

ნდელი თაფლი არ ვარგოდა. ამ თქვენს ჰომეოპათიურ წამალს ყოველ კვირა ვაძლევდი უკვე შემოდგომაზე, ფუტკარი საერთოდ გამოჯანმრთელდა და იმდენი და ისეთი თაფლი მივიღე, ის ზარალი მთლიანად ავინაზღაურე. ახლა უკვე აღარც ვარვასი მეშინია და აღარც ნოზეტომასი. ახლა ატროფია გაჩენილა, ჩემთან ჯერ არ არის და არც მეშინია. თქვენ ყველა ავადმყოფობას მოერიეთ და ამასაც დაამარცხებთ. რაც მთავარია, თაფლი მაქვს მაღალი ხარისხის, დიასტაზა 25 აქვს ჩემს თაფლს და ყველა მეფუტკრეს ვეუბნები და მოვუწოდებ, რომ მოიხმარეთ ეს წამალი. ჯერ ანალიზი გაუკეთეთ თაფლს, დადევით ლაბორატორიის დასკვნა, მერე მიეცით წამალი და ნახავთ როგორ გაუმჯობესდება თაფლის ხარისხი. შედეგს ნახავთ ერთი თვის შემდეგ.

გიას წამალს პოპულაცია არ სჭირდება, არც მისი რეკლამისთვის ვაკეთებ ამ განცხადებას, ამ კაცისთვის ფული არაა მთავარი, მისთვის იდეაა სასიცოცხლო. მადლიერების გამო ვაკეთებ ამას და ღმერთი მისმენს, რასაც ვლაპარაკობ. ღმერთმა დამიფაროს, ერთი ტყუილიც არ ურევია ჩემს ნათქვამში. კიდევ და კვლავაც შენი იმედი მაქვს და სახალხოდ ვაცხადებ: ფუტკრის 15%-ია დარჩენილი საქართველოში და გიას ჰომეოპათიური წამლის გარეშე, ფუტკარს გადარჩენა არ უწერია. ეს წამალი კი ლამის უფასოდ არის და მოგიწოდებთ, ნახეთ და მოიხმარეთ. შედეგს

ერთ თვეში ნახავთ და რაც დრო გავა, უფრო მოემატება. ბატონი გია მართლაც ზეციდან შობილი ადამიანია და ერთნაირი წარმატებით მკურნალობს ყველას, ვინც და რაც უფალმა გააჩინა.

როცა ავად ვიყავი, კათეტერით დამიზიანდა შარდის მილი, ექიმებმა ოპერაცია გადაწყვიტეს და მაშინ გია მოვიდა და განაცხადა, ხელი არ მოჰკიდოთ, მე ამას 5 დღეში შევუჩერებ სისხლდენასო. ხუთ დღეში მოკვდება ეს უბედურიო, უთხრეს. ამან, ხელი არ მოჰკიდოთო და იმ დღით რომ მომცა თავისი წამლები და მესამე დღეს უკვე ვიგრძენი უკეთესობა და სისხლდენაც შემიჩერდა და ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ძალიან ძნელი ყოფილა თურმე, როცა სული ხორცს ეყრება და როცა ვიგრძენი, რომ სიცოცხლე დამიბრუნდა, ეს იყო სასწაული შეგრძნება.

ლელა ქვარაიაც მადლობას გიხდით ბატონო გია, მეოთხე ხარისხის სიმსივნე აქვს ქალბატონს და გიას წამლებით კარგად გრძნობს თავს. მობრუნდა, სპაზმები აღარ აქვს და ჭამს და სვამს. გენიალური ადამიანი ხართ, თქვენთვის ფული არაფერს ნიშნავს. თქვენთვის მთავარია იდეა, რომელიც ღმერთისგან მოგეცათ. ზეციდან მოგეცათ და დაგლოცოთ უფალმა და ყოველთვის ახალი იდეები ყოფილიყოს შენთან. კვანტური ფიზიკა და ჰომეოპათია ერთად, ეს სასწაულია და სასწაულია თქვენი ცხოვრებაც და მოღვაწეობაც.

და ღმერთის გარდა არავინ უწყის რამდენი

ასეთი მადლიერი დადის დედამიწაზე. სხვა მის ადგილას სიამაყის და ამპარტავნების ცოდვაში ჩავარდებოდა. გია ნადარეიშვილზე თავმდაბალ ადამიანს კი იშვიათად შეხვდებით. ქრისტიანული სიმშვიდით ხვდება წარმატებას და მარცხსაც. ხშირად იმეორებს წმინდა ნიკოლოზ სერბის თქმულს: „ამპარტავნება განიერი ფანჯარაა, საიდანაც სწრაფად ნიავდება ყველა ჩვენი დამსახურება და კეთილი საქმე. არაფერი ისე ცარიელად არ გვაქცევს ადამიანთა წინაშე და უღირსად- ღვთის წინაშე, როგორც ამპარტავნება. და თუ ღმერთი არ არის ამპარტავანი, ჩვენ რატომ უნდა ვიყოთ ასეთები? ვის აქვს უფალზე მეტი უფლება, რომ იამაყოს, რადგან მან შექმნა და თავისი ძალით უპყრია ის? მაგრამ, შეხედეთ, უფალი დამდაბლდა მსახურებამდე, მთელი სამყაროს მსახურამდე: თვით სიკვდილამდე, ჯვარზე სიკვდილამდე!“

„ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ და ესრეთ აღასრულეთ შჯული იგი ქრისტესი“ გალატელთა მიმართ: (6:2). აი, ეს არის გიას ცხოვრების მთავარი პრინციპი.

ᲫᲐᲛᲘ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ

ვიდრე მთავარ სათქმელს მოგახსენებთ, მინდა მეუფე შიოს ერთი განცხადება შემოგთავაზოთ: „დღეს ვთხოვოთ უფალს, შეგვეწიოს, რომ აი, ამ ახალ წელს გამოვსწორდეთ, აღარ ვცოდოთ და ვიცხოვროთ უფლისთვის სათნო ცხოვრებით; რომ ჩვენი ხალხიც სულიერად უფრო ამაღლდეს; აღარ განმეორდეს ჩვენში ისეთი მძიმე ცოდვა, სიწმინდის ისეთი შეურაცხყოფა და მკრეხელობა, რომელიც ჩვენ რამდენიმე დღის წინ ვიხილეთ ამ წმინდა ტაძარში.

ვევედროთ უფალს, რომ ჩვენში სუფევდეს ისეთი სულიერი განწყობა, შემართება, მოქმედებდეს ისეთი კანონმდებლობა ჩვენს სახელმწიფოში, რომ მავანმა ვერც კი გაბედოს ასეთი რამის გაკეთება“.

აქ მეუფეს მხედველობაში ჰქონდა ერთი ძუ ჭინკის უხამსობა, წმინდა მატრონას ხატის შეურაცხყოფა და დელიკატურად, ქრისტიანული სიბრძნით შეეხო ამ საკითხს და ამ პრობლემის გადაჭრის რეცეპტიც გამოწერა. მე კი იმ ძუ ჭინკას ვურჩევ, ეტყობა იმ საქმისთვის გამოუსადეგარი გახდა, რითაც ცნობილი იყო თავის დროზე, როცა ტელეეკრანზე იტრაბახა, ერთ დროს სადღეღამისო დახტომაში ვიყავიო. ღმერთთან ბრძოლას კი ყველა ეთნაირად ასრულებს და ერთადერთი გამოსავალი ცოდვის მონანიებაა სულით და გუ-

ლით და მერე ცოდვების აღარ ჩადენა და ჭინკობაზე უარის თქმა და იმის გაცნობიერება, რომ ამ სოფელში შიშველ-ტიტველი მოხვედი და მატერიალურს იქ ვერაფერს წაიღებ მადლის ქმნის გარდა, რომელიც სასუფეველში გაგაბრწყინებს.

სწორედ ასეთი მადლით გაბრწყინებული სული ჩააბარა უფალს მსგეფსის პერიოდში დიდმა ქალბატონმა თინა ჭიჭინაძემ, ჩემმა ქრისტესმიერმა დამ, დიდი ქართველის უერთგულესმა მეუღლემ, შესანიშნავი შვილების, შვილიშვილების, შვილთაშვილების საყვარელმა ბებიამ, საუკეთესო დედამთილმა და ყველა მოყვასის და მტრის მოყვარულმა, ღვთის საჩუქარმა!!!

მე ქალბატონ თინას ტაბითას ვეძახდი: „ხოლო იაფოში იყო ერთი მოწაფე დედაკაცი, სახელად ტაბითა, რაც თარგმანებით ნიშნავს ქურციკს. იგი სავსე იყო კეთილი საქმეებითა და მოწყალებით, რასაც იქმოდა.“ (საქმეები.9:36.). და მოციქულთა თავმა, წმინდა პეტრემ მკვდრეთით აღადგინა ტაბითა მის მიერ ჩადენილი ქველმოქმედებების გამო და ხალხს ცოცხალი წარუდგინა იგი. აი ასე! ზუსტად ასე ირჯებიან ქრისტიანები წუთისოფელში და ამიტომ დარჩა ქალბატონი თინა ჩვენს გულებში წმინდა ტაბითად. მას ბედმა არგუნა ჩვენი დროის დიდი ქართველის, ეკლესიის ერთგული შვილის, ბევრი კეთილი საქმის შემოქმედის, ბატონ ჯუმბერ პატიაშვილის ცხოვრების მეგზურობა და მასთან ერთად ღირსე-

ულად ატარა მძიმე ჯვარი. უფალმა გაძლება მისცეს ბატონ ჯუმბერს და მრავალი წელი იმ საქმის ბოლომდე მისაყვანად, რისთვისაც მოავლინა დედამიწაზე.

აქვე მოგახსენებთ და ჩემი ბატონ ჯუმბერზე გადაღებული ფილმების მაყურებელმა იცის ამ პიროვნების დამსახურების შესახებ დედა-ეკლესიის წინაშე. განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო უწმინდესისა და უნეტარესის სამძიმრის წერილი ჯუმბერ პატიაშვილის სახელზე, რომელიც სიონში (აქედან მოხდა ქალბატონ თინას გამოსვენება 2024 წლის 16 იანვარს), წაიკითხა თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის რექტორმა, პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, რომელმაც ისაუბრა ბატონ ჯუმბერის დამსახურებაზე ეკლესიისა და ქვეყნის წინაშე და აღნიშნა ქალბატონი თინა ჭიჭინაძის დიდი ღვაწლი განათლების სფეროში და გარდაცვლილის ქრისტიანული ცხოვრების წესი განსაკუთრებული სიყვარულით და ქებით მოიხსენია:

„კათოლიკოს-პატრიარქს რომ შეეძლოს ფიზიკურად, ის აქ იქნებოდა დღეს ბატონი ჯუმბერის გვერდით და პირადად გამოხატავდა მწუხარებას ქალბატონ თინას გარდაცვალების გამო, – ბრძანა პროტოპრესვიტერმა – მე მაქვს დიდი პატივი, რომ პატრიარქის სამძიმრის წერილი წავიკითხო: – *პატრიარქის სამძიმრის წერილი* – „ბატონ ჯუმბერ პატიაშვილს, მისი ოჯახის წევრებს

და ახლობლებს: დიდად ვწუხვარ ქალბატონ თინა ჭიჭინაძის გარდაცვალების გამო. შესანიშნავი ადამიანი, ღირსეული მეუღლე, დედა დააკლდა ჩვენს ქალაქს. მასთან ერთი შეხვედრაც კი საკმარისი იყო, რომ გეგრძნო ამ პიროვნების ღირსება და კეთილშობილება. აღვავლენ ლოცვებს ქალბატონ თინას უკვდავი სულისათვის, რათა მან წიაღ ღვთისა დაიმკვიდროს, ხოლო თქვენ მოგმადლოთ მშვიდობა ამ განსაცდელის დაძლევისა და მისთვის ლოცვის ძალის.“ ილია მეორე, საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქი. 16 იანვარი.

„მე მინდა დიდი მოწიწებით შევუერთდე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმრის წერილს და გამოვხატო ჩემი დიდი გულისტკივილი ქალბატონი თინას გარდაცვალების გამო, – ბრძანა პროტოპრესვიტერმა გიორგი ზვიადაძემ, – რამდენიმე შეხვედრა რაც მე მასთან მაკავშირებს და რამდენიმე წუთიანი საუბარი, ჩემთვის საკმარისია იმისათვის, რომ ქალბატონ თინას მიმართ მქონდეს უდიდესი მოწიწება, პატივისცემა და მადლიერება. შემიძლია მტკიცედ ვთქვა, რომ უაღრესად ღირსეული ადამიანი გარდაიცვალა და პატრიარქთან ერთად განვიცდით ამას და მთელი არსებით ვუერთდებით პატრიარქის ამ სამძიმრის წერილს. და თქვენთან ერთად მინდა გამოვხატო უდიდესი პატივისცემა ბატონი ჯუმბერის მიმართ და ვუსურვო მას სულიერი მხნეობა და დიდი რწმენა. რწმენის გარეშე ძალიან

რთულია. რწმენის გარეშე ნიშნავს სიმართლის გარეშე იყო ამ წუთისოფელში და არ იცოდე, რომ ეს წუთისოფელი დროებითი სამყოფელია... ღმერთმა აცხონოს ქალბატონი თინას სული."

ქალბატონი თინას დაკრძალვის მეორე დღეს 70-თა მოციქულთა კრების დღე აღინიშნა: „ამის შემდეგ ამოარჩია უფალმა სხვა სამოცდაათი და წინასწარ მიავლინა ორ-ორი ყოველ ქალაქსა და სოფელში, სადაც მისვლას აპირებდა. უთხრა მათ: „სამკალი ბევრია, მუშაკი- ცოტა, ამიტომ ევედრეთ სამკლის პატრონს, რომ გამოგზავნოს მუშაკნი თავის სამკალში. წადით! მე გაგზავნით თქვენ, როგორც კრავებს მგლებს შორის." (ლუკა 10:1-3).

და წავიდნენ ღვთის სიტყვის საქადაგებლად: აგაბო, აკვილა, ამპლი, ანანია, ანდრონიკე, აპელი, აპოლო, არისტარქოსი, არისტობულე, არტემი, არქიფო, ასინკრიტე, აქაიკი, ბარნაბა, გაიოზი, დიონისე არეოპაგელი, ევოდი, ეპაფრასი, ეპაფროდიტე, ეპენტი, ერასტი, ერმი, ერმე, ზინა, იაკობი ძმა უფლისა, იასონი, იოსტოსი, იროდიონი, კარპეზი, კლეოპა, კლიმენტი, კოდრატე, კრისკენტი (კრისკე), კრისპე, კვარტი, ლინუსი, ლუკა მახარებელი, ლუკი, მარკოზ მახარებელი, მარკოზი, მარკ-იოანე, ნარკისი, ნიკანორი, ოლიმპი, ონისიმე, ონისიფორე, პარმენი, პატროვი, პროხორე, პუდი, როფე, სილა, სილოვანე, სვიმეონი-უფლის ძმა, სვიმეონ ნიგერი, სოსიპატრე, სოსთენი, სტაქო,

სტეფანე პირველმოწამე, ტერტი, ტიმონი, ტიმოთე, ტიტე, ტვიქიკე, ტროფიმე, ურბანი, თადეოზი, ფილიმონი, ფილიპე, ფილოლოგი, ფლეგონტი, იაკობ ალფესი, ფორტუნატე და უფლის სიტყვა უქადაგეს ყველა დაბადებულს. გაათბო და გაამზიანა იესომ ყველა ტვირთმძიმისა და მაშვრალის სული და გული, უფალი აუწონელ მადლს და საჩუქარს უმზადებს და აძლევს მის ყველა მორწმუნეს. ჩვენი გია ნადარეიშვილი ერთია მათ შორის. უფლის თანადგომა რომ არა, ადამიანი ვერ გაუძლებდა ამ რეჟიმით ცხოვრებას... და გიაც იღებს ამ საჩუქარს უფლისგან და როგორც ღირსეული ქრისტიანი, ყველას უნაწილებს. აი ახლაც გთავაზობთ ნადარეიშვილისეულ ახალი წამლის რეცეპტს ჯანმოს დაანონსებული ე.წ. იქს პანდემიის წინააღმდეგ, რომელიც ექსპერტთა შეფასებით, კოვიდზე 20-ჯერ ძლიერია თურმე.

ახალი რეცეპტი მომავალი პანდემიის წინააღმდეგ

შეიქმნა ჰომეოპათიისა და მისი უდიდებულესობა კვანტური ფიზიკის შერწყმით და ყველას შეუძლია სახლში დაამზადოს: ბოთლში ვასხამთ 100 (ას) გრამ ანადუღარ-გაცივებულ წყალს. ვუმატებთ საკუთარ ნერწყვს. ვანჯღრევთ და ვაქცევთ წყალს. მერე ამავე გამოცარიელებულ ბოთლში ისევ ვასხამთ 100 გ. წყალს, ისევ ვღვრით და ასე ვაკეთებთ 6 – ჯერ. მეშვიდედ ჩასხმული წყალი უკვე წამალია და დღენახევარში ჰკლავს კორონას და დაანონსებულ სხვა პანდემიურ გამოვლინებებს.

უფლის ჯვარზე თქმული

ნაცემ-ნაგვემი, გასისხლიანებული, შეურაცხყოფილი ჩვენი მსხნელი ჯვარზე ვიდრე აღესრულებოდა, ჩვენზე ფიქრობდა და ჩვენი სულის გადარჩენისთვის ზრუნავდა, ანუ მისი მტრების სიკეთისთვის. აუტანელი ტკივილების მიუხედავად, იესომ შვიდი უმნიშვნელოვანესი განცხადება გააკეთა.

პირველი იმის შემდეგ, როცა რომაელმა ჯარისკაცებმა გაამათრახეს. ის უყურებდა მათ, ვინც ჯოხებს ურტყამდა თავში, აფურთხებდნენ და ყოველგვარ შეურაცხყოფას აყენებდნენ, მაგრამ მათ მიმართ ბოროტება არ ჩაუდვია გულში, პირიქით, მამას თხოვნით მიმართა, მწამებლებისთვის ეპატიებინა: „მამაო, მიუტევე ამათ, ვინაიდან არ იციან, რას აკეთებენ.“ (ლუკა. 23:34). აი, ასე, იგი მოვიდა ჩვენს გადასარჩენად და ვერც სიკვდილის განაჩენმა შეაცვლევინა მიზანი.

მეორედ უფალი ამეტყველდა მაშინ, როცა მასთან ერთად „ჩამოკიდებული ბოროტმოქმედი გმობდა მას: „განა შენ ქრისტე არა ხარ? იხსენი შენი თავი და ჩვენც“.

მეორე კი გაუწყრა და უპასუხა მას: „ნუთუ ღვთისა არ გეშინია, როცა შენც იმავე სასჯელში ხარ? ჩვენ სამართლიანად დავიმსახურეთ, ვინაიდან ჩვენ რაც გავაკეთეთ, იმისი საკადრისი მივიღეთ, მაგას კი ცუდი არაფერი არ ჩაუდენია.“ მან

უთხრა: „იესო, გამიხსენე, როცა შენს სასუფეველში მოხვალ.“

იესომ უთხრა მას: „ჭეშმარიტად გეუბნები შენ: დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში.“ (ლუკა. 23:43).

დიახ, ასეა უფალი მუდამ ასრულებს თავის მისიას, და იმდენად ვუყვარვართ, მონანიების შემთხვევაში, დაუყოვნებლად გვპატიობს ყველა ცოდვას. თუ გადარჩენის ოდნავი სურვილი მაინც გვაქვს, უფალი ჩვენთანაა. ჯვარზე გაკრული უფლის ყოვლისმხედველი თვალი, შენიშნავს, რომ „ჯვართან იდგნენ დედამისი, დედამისის და, მარიამ კლეოპასი და მარიამ მაგდალელი. იესომ დაინახა იქ მდგომი დედა და მოწაფე, რომელიც უყვარდა, და უთხრა დედას: „დედაკაცო, აჰა, შენი ძე!“ შემდეგ მოწაფეს უთხრა: „აჰა, დედაშენი!“ და მოწაფემ მაშინვე თავისთან წაიყვანა იგი.“ (იოანე19:25-27). ასე გახდა ღვთისმშობელი იესოს მოწაფის დედა. უფალმა იზრუნა დედის კეთილდღეობაზე, რითაც აღასრულა თავისივე მცნება შვილისა და მშობლის ურთიერთობის შესახებ.

მეოთხე ფრაზა უფალმა მეცხრე საათზე წარმოთქვა. ამ დროს უკვე სამი საათია ბნელს მოუცავს მთელი დედამიწა და ჯვარზე უფალთან ერთად მიმსჭვალულია ყველა ცოდვა ადამიდან და ევადან მოყოლებული, ვიდრე უკანასკნელამდე, რაც დედამიწის გაქრობამდე მოხდება და

მამაც კი შეაძრწუნა და შეზარა ამ ცოდვების საზიზღრობამ და წამით პირი იბრუნა თავისი შექმნილისგან და „მეცხრე საათზე შესძახა იესომ დიდი ხმით: „ელოი, ელოი, ლამა საბაქთანი?“ რაც ნიშნავს: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ დამიტევე მე?“

ექვსი საათის განმავლობაში აწამებდნენ და შეურაცხყოფდნენ ჩვენს საყვარელ მაცხოვარს. როგორც ადამიანი, ის ჩვენსავით გრძნობდა ტკივილს, დაღლილობას, წყურვილს და არ ერიდებოდა ამის თქმა.

„ამის შემდეგ, იცოდა რა იესომ, რომ უკვე დამთავრდა ყველაფერი, წერილის აღსასრულებლად, თქვა: „მწყურია!“ (იოანე. 19:28).

ეს იყო უფლის მეხუთე თქმული ჯვარზე. „იქ ძმრით სავსე ჭურჭელი იდგა. ძმრით გაჟღენთილი ღრუბელი წამოაცვეს უსუპს და პირთან მიუტანეს.“ (იოანე.19:29). და ამით აღსრულდა მესიანური წინასწარმეტყველება.

ფსალმუნები:68:22. „და აურიეს ჩემს საჭმელში ძირმწარე და წყურვილის დროს მასვეს ძმარი.“

მეექვსე: „როცა ძმარი მიიღო იესომ, თქვა: „აღსრულდა!“ (იოანე. 20:30). ეს იყო გამარჯვებული უფლის შეძახილი. რისთვისაც მობრძანდა, ის გამარჯვებით დაასრულა. რისთვისაც მოავლინა მამამ ზედმიწევნით შეასრულა და ადამიანები იხსნა სამუდამო ცოდვებისაგან და სიკ-

ვდილითა სიკვდილი დაამარცხა, სამარეთა შინა სიცოცხლის მომნიჭებელი გახდა.

„დაბნელდა მზე და ტაძრის ფარდა შუაზე გაიხა.

იესომ დიდი ხმით შესძახა და თქვა: „მამაო, შენს ხელთ ჩამიბარებია ჩემი სული.“ ეს თქვა და სული განუტევა. (ლუკა 24:45-46).

აი, ასე გამარჯვებული ძე მამას დაუბრუნდა. დაამხო ბნელეთის და სიკვდილის სამეფო და თავის ყველა მორწმუნეს გადარჩენის გზა უჩვენა და ამ გზის გავლაც ასწავლა თავისი მოწამეობრივი ცხოვრებით და ჯვარზე მიმსჭვალვით.

ჩემი „ვეფხისტყაოსანი“

ვერავინ მსოფლიოში არსებული ერების წარმომადგენლებიდან ქართველს ვერ ეტყვის: ხელოვნებაში, ფილოსოფიაში და ა.შ. ჩვენ უმჯობესი შეგვიქმნია, ვიდრე შოთა რუსთაველსო. განათლებულ და ობიექტურ ადამიანებზე მოგახსენებთ. გვესმის კი ჩვენ, რუსთაველის მშობლებს და პატრონებს ვისი მემკვიდრეები ვართ?

დიდ მწერალს, კლასიკოსს რევაზ მიშველაძეს კი მიაჩნია, რუსთაველს ისე ვეპყრობით, ვით ბოროტი დედინაცვალი გერს. ფეხებზე დავიკიდეთ „ვეფხისტყაოსნის“ 850 წლის იუბილე და ხელიდან გავუშვით ამ წიგნთაწიგნის მიშვნელობის ახსნა მსოფლიოსთვის და ქართველი ერისთვის. ბატონმა რევაზმა გულის ტკენით და ხმის კანკალით გვაცნო, მწერალთა კავშირის პრეს-ცენტრის გამოკითხვით, ერის ნახევარზე ეს საუნჯე წაკითხული არ აქვსო და იქვე ბრძანა, ამ კატასტროფის შესაჩერებლად, დროა, მთელმა საქართველომ დავიწყოთ სახალხო მოძრაობა: ყველამ დავიწყოთ ამ შედევრის კითხვა და გადაწერა ასაკის მიუხედავად, რადგან „ვეფხისტყაოსანი“ ქართველების პასპორტია მთელს მსოფლიოშიო და მედიის წარმომადგენლებს მოუწოდა, ამ იდეის გაპიარებას ხელი შეუწყვეთო. ჩვენი ქართული ტვ მეყსეულად გამოეხმაურა ამ დიდ საქმეს და ბატონმა რევაზმა თავად გვიჩვენა

კლასი და მაგალითი: ჩვენი ტელევიზიის ეთერში, სწორედ გია ნადარეიშვილის საავტორო გადაცემაში, მან დაიწყო რუსთაველის კითხვა პირველი ორი სტროფით. სიმბოლურია ის, რომ დიდ მწერალთან ერთად 6 წლის მია ფხალაძეც ჩაერთო მომავალ მარათონში.

საოცარი პიროვნებაა ბატონი რევაზ მიშველაძე. მოუსვენარი და ანთებული. რამდენი ათეული წელია ჩათვლემის საშუალებას არ აძლევს ხელისუფალთ. აი, ახლაც ბდღვირს აადენს ამათაც, ვიდრე რუსთაველის გამზირზე რუსთაველის სახლს არ ჩაადგმევინებს. დღეს ალბათ მხოლოდ მას ესმის ყველაზე მეტად ამ სახლის მნიშვნელობა და ისიც, რა ღვთიურ სიკეთედ აბრდღვიალდება იგი მომავალში. ეს იქნება ბატონი მიშველაძის მეხუთე რომანი – ერთადერთი წიგნი დღევანდელ გულგაციებულ მსოფლიოში, რომელსაც მშობელ ხალხთან ერთად დაწერს დიდი მწერალი. წინა ოთხი ამ ხალხზე დაწერა და მიშველაძისეული კოდი მოათავსა შიგ...

პირველ რომანს „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“ უწოდა. ქართველებო, გადაეჩვიეთ კანკალს, ჩურჩულს თქვენივე სამშობლოშიც და მის გარეთაც და ომახიანად მიახალეთ სიმართლე ყველასო – ეს მოგვიწოდა.

მეორე რომანს „ციყვი ბორბალში“ უწოდა და მიუკიბავად გვითხრა: ვიდრე სხვისი ჭკუის ქეიფზე ივლით და ფხას არ გამოიჩენთ, იწრიალებთ

და იტრიალებთ მაგ ბორბალში სულის ამოხდომამდეო.

მესამეს „წამება“ დაარქვა და გვასწავლა ქვეყნის მოვლა და მტერ-მოყვარესთან ღირსეულად თავის დაჭერა. როცა ვირისთავმა ტოტლებენმა პატარა კახს ისე ჩამოართვა ხელი, როგორც მდიდარმა ღარიბ ნათესავს, ლამის იტირა მწერალმა, მაგრამ ასპინძის ბრძოლის წინ, როცა ერეკლემ მკვდარ-ცოცხალი დაახურა თავზე ტოტლებენსაც და მის გამომგზავნსაც და მტერსაც მუსრი გაავლო, ე, მაშინ დაგვმოძღვრა: ნუ გახდებით უცხოელთა ხელისბიჭები, გახსოვდეთ, ვისი გორისა ხართ!

და მეოთხე რომანი „ქრისტე“. ერის უფალთან მიახლოებისკენ მიმავალმა გზამ, მწერალს, ვისთვისაც საქართველოა სუნთქვა და არსება, ვისაც შესწირა ერთადერთი შვილი, დიახ, ნამდვილ მწერალს, ქრისტეს მცნებანი ასე უკარნახა: „გიყვარდეს სამშობლო და იბრძოლე მისი თავისუფლებისთვის.“ – იმედი მაქვს, უფალი შემინდობს და მომიწონებს ამას მე, სამშობლოს მიწაწართმეულ და ამით გამწარებულ ქრისტიანს, – ამბობს ბატონი რევაზი.

მის მეხუთე რომანზე კი ჯერ ვერაფერს გეტყვით, იგი მხოლოდ ჩვენი მწერლის ოსტატობაზე რომ იყოს დამოკიდებული, საფიქრალი არ მექნებოდა. მოდი მეგობრებო, გავხდეთ დიდი მწერლის ღირსეული თანაავტორები და ერთად

დავწეროთ ახალი რომანი – „ვეფხისტყაოსნის სახლი-რუსთაველზე!“ ერთად დავწეროთ ყველამ: დიდმა და პატარამ, ვისაც საქართველო და რუსთაველი გვიყვარს, ხელისუფლებამ და ოპოზიციამ, პარტიულმა და უპარტიომ, ყველამ ვინც საქართველოში ცხოვრობს თუ ემიგრაციაშია. „ვეფხისტყაოსანი“ ყველას გაგვაერთიანებს.

ვეფხისტყაოსნით რომ სუნთქავს და ოცნებობს მწერალი ეს მის ყველა გამოსვლაში იგრძნობა. ქართული ტვ შემდეგ დიდი მწერალი აჭარა ტვ ზე გამობრძანდა და სიტყვასიტყვით მოგვახსენა: „მე გამოვედი ამას წინათ ერთი ძალიან ეროვნული ტელევიზიით, ქართული ტვ ქვია და იქ დავაანონსე: ვთოვე სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის სახელით, რომ 2024 წლის 1 თებერვლიდან მთელ საქართველოში დაიწყოს, ვეფხისტყაოსნის ტოტალური კითხქვა. ზოგს ეს არასწორად მოეჩვენა: ბატომო რეზო, შენ ამხელა პროფესორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ვადებს გვიწესებ როდის წავიკითხოთ ვეფხისტყაოსანიო? რუსთაველი ყოველთვის შეიძლება წაივიკითხოო... მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჩვენ ჩავატარეთ სოციოლოგიური გამოკითხვა და 75% საქართველოში ვეფხისტყაოსანი წაკითხული არა აქვს. არადა ჩვენი ბიბლია, ჩვენი ეროვნული პასპორტი, ჩვენი ყველაზე დიდი განძი „ვეფხისტყაოსანია“.

შვიდი საყვირი

იერიქონის მცხოვრებნი შიშით და ერთგვარი ინტერესით გადაჰყურებდნენ თავიანთი ქალაქის მტკიცე კედლებიდან მათ შორიახლოს განლაგებულ ისრაელის ბანაკს. ხმებმა ხალხზე, რომელიც ეგვიპტიდან გამოვიდა და 40 წელი უდაბნოში დაეხეტებოდა, რომელმაც დაამარცხა ამორევის ქვეყნის მეფეები და იორდანე გადმოლახა, არცთუ უსაფუძვლოდ შეაშფოთა ქანაანელნი. იორდანეზე გადმოსვლამ ხომ ცეცხლზე ზეთი დაუსხათ. როგორი საქმეა გაზაფხულზე მდინარის გადალახვა, რომელიც სწორედ ამ დროსაა ყველაზე უფრო წყალუხვი. უფრო მეტიც, მდინარე საერთოდ გაჩერდა, კალაპოტი ამოშრა და მრავალრიცხოვანი ჯარი, ბავშვები და ქალები, მთელი საქონელი ისე გადმოვიდნენ დამშრალ იორდანეზე, ფეხიც არავის დასველებია...

ვიდრე იორდანეს გადალახავდა, ისრაელი შიტიმში იდგა და მოსეს შემდეგ, მისმა მეთაურმა, იესო ნავეს ძემ, ორი მსტოვარი გაგზავნა იერიხონის დასაზვერად. ისინი ქალაქში შევიდნენ და ადგილობრივი მეძავის, რახაბის სახლში გაათიეს ღამე. თუმცა, მათი მოსვლა შეიტყვეს ადგილობრივებმა და მიხვდნენ, დასაზვერად რომ იყვნენ მოსულნი. მეძავმა სტუმრები დამალა და თანამოქალაქენი მოატყუა, სტუმრები წუხელ წავიდნენო. თავად კი პირობა ჩამოართვა, ამ სიკე-

თისთვის, რაც გიყავით, ქალაქს რომ აიღებთ „მე და ჩემს ახლობლებს ხელი არ გვახლოთო“. სტუმრებმა პირობა მისცეს და შიტიმში მშიდობიანად დაბრუნდნენ. ამის შემდეგ ისრაელი დაიძრა შიტიმიდან და მიადგა იორდანეს, რომელიც უფლის დახმარებით და სწავლებით გადალახეს. როცა მთელმა ხალხმა გადალახა, უფლის ბრძანებით, იესო ნავეს ძემ თორმეტი ხალხიდან თორმეტი კაცი გამოარჩია, რომელთაც თითო ქვა აკრიფეს იორდანეს შუაგულიდან, „და გავიდნენ ამ ქვებიანად, გაღმა, სათავეში და იქ დააწყვეს.

ასევე თორმეტი ქვა დაასაწყობა იესომ იორდანეს შუაგულში იმ ადგილას, სადაც ფეხი ედგათ უფლის აღთქმის კიდობნის მტვირთავ მღვდლებს. დღემდე იქ აწყვია ეს ქვები“ (იესო ნავეს ძე 4:8-9).

მოგვიანებით, როცა ხალხი იორდანედან ამოვიდა და გილგალში დაბანაკდა, ის თორმეტი ქვა, იორდანედან რომ წამოიღეს, გილგალში დააწყობინა იესომ. „რათა ყველა ხალხმა გაიგოს ამ ქვეყანაზე უფლის მარჯვენის ამბავი, რომ მაგარია იგი, რათა მუდამ გეშინოდეს უფლის, თქვენი ღმერთისა (იესო ნავეს ძე 4:24)...

ეს ყველაფერი არ დარჩენიათ შეუნიშნავი ახლოს და შორს მცხოვრებ ხალხს და დიდი შიში ჩამოვარდა მათში. იერიქონელები კანკალით უყურებდნენ ებრაელთა ბანაკს. ყველაზე მეტად მათ ისრაელის ტაქტიკა აოცებდათ, რომელიც

ძირფესვიანად განსხვავდებოდა ადრე ნანახისგან. მომხდურები ისე არხეინად იქცეოდნენ, საერთოდ არ ჰგავდნენ ქალაქის დასაპყრობად მოსულთ. შტურმის წინა მომზადების ნიშან-წყალი არ იგრძნობოდა მათ ქმედებებში, ერთადერთი, რასაც მეომრები აკეთებდნენ, ის იყო, რომ თავიანთ მღვდლებთან ერთად დღეში ერთხელ ქალაქს გარშემო უვლიდნენ და საყვირებში ბერავდნენ.

გაოცება და გაურკვევლობა ყოველდღე იზრდებოდა. რას ნიშნავდა ეს? რატომ იქცეოდა მტერი ამგვარად? ქალაქელებს აოცებდათ მტრის სიმშვიდე და სიჩუმე, თუ დღეში ერთხელ საყვირების ხმას არ მივიღებთ მხედველობაში. ეს სიჩუმე აშინებდა იერიქონელთ და აღარც კი იცოდნენ როგორ მომზადებულიყვნენ თავდასაცავად. ექვსი დღე უარა გარშემო ისრაელმა იერიქონს. ყველაფერი კი უფლის ნებით კეთდებოდა. ეს მან უბრძანა ისრაელს: „ასე აკეთეთ ექვსი დღის მანძილზე.

შვიდმა მღვდელმა ატაროს ვერძის რქა შვიდი ბუკი კიდობნის წინ. მეშვიდე დღეს შვიდგზის შემოუარეთ ქალაქს და მღვდლებმა სცენ ბუკებს.

როცა ჩაჰბერავენ ვერძის რქას და გაისმება ბუკის ხმა, დასცეს დიდი ყიჟინა მთელმა ერმა და იქვე ჩაიქცევა ქალაქის კედლები, და ავა ხალხი ქალაქში, თითოეული თავისი გზით“ (იესო ნავეს ძე 6:3-5).

ყველაფერი უფლის სიტყვებისაებრ მოხდა. საყვირების ხმასთან ერთად, 40 ათასი მეომრის ხმა და მთელი ერის ყიჟინა დაატყდა თავს იერიქონს, უცებ ჩამოიშალა მისი კედლები და ჯარი შეიჭრა ქალაქში. ქალაქი დაეცა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. კედლები კი არ დაინგრა, არამედ ჩამოიშალა, რაც მრავალწლიანმა არქეოლოგიურმა გათხრებმაც დაადასტურა...

უფლის შეგონებით „ცეცხლს მისცეს ქალაქი და ყველაფერი, რაც შიგ იყო, მხოლოდ ოქრო-ვერცხლი და სპილენძისა და რკინის ჭურჭელი უფლის სახლის საგანძურისთვის გადადეს.

მეძავი რახაბი, მამამისის სახლი და ყველა, ვინც კი მას ჰყავდა, ცოცხალი დატოვა იესომ...“ (იესო ნავეს ძე 6:24-25).

შვიდი საყვირი, რომელმაც დასცა იერიქონი, აპოკალიფსის ცენტრალურ ნაწილშიც ფიგურირებს. იოანეს ეს ხილვა ლამის „გამოცხადების“ სამ თავს მოიცავს მერვედან მეთერთმეტემდე და ერთ-ერთ ყველაზე რთულ გამოცანად ითვლება მთელი ახალი აღთქმის, რამეთუ დეტალების მოზღვავება თავბრუდამხვევია და უძლურს გხდის რაიმე გაიგო. თხოვნა მაქვს თქვენთან ძმებო და დებო ქრისტეში: კიდევ ერთხელ წაიკითხეთ „გამოცხადების“ მერვედან მეთერთმეტე თავის ჩათვლით და იქნებ რომელიმე თქვენგანი ღირსი გახდეთ და უფალმა მოგმადლოთ წყალობა ამ ურთულესი საიდუმლოს ახსნისა, დღემდე რომ

არ ასვენებს კაცობრიობას. მე კი მეშვიდე საყვირის შემდგომ მოვლენებს გაგახსენებთ აქვე:

„მეშვიდე ანგელოზმა დააყვირა საყვირს და გაისმა ცაში დიდი ხმები, რომლებიც ამბობდნენ: „წუთისოფლის სამეფო გახდა ჩვენი უფლისა და მისი ქრისტესი, და იმეფებს იგი უკუნითი უკუნისამდე.

ოცდაოთხი უხუცესი, რომლებიც ღვთის წინაშე ისხდნენ თავიანთ ტახტებზე, პირქვე დაემხო და თაყვანი სცა ღმერთს.

და თქვეს: „გმადლობთ შენ უფალო ღმერთო ყოვლისმპყრობელო, რომელიც ხარ, რომელიც იყავი და რომელიც მოხვალ, რომ მოიღე შენი დიდი ძალა და გამეფდი.

გამძვინვარდნენ წარმართები და მოვიდა შენი რისხვა და ჟამი, რათა მკვდრები განკითხულ იქნენ და საზღაური მიეცეთ შენს მონებს – წინასწარმეტყველებს და წმიდებს და მათ, რომელთაც შენი სახელის ეშინიათ – დიდებს და პატარებს, და მოსპო დედამიწის მომსპობნი“.

გაიღო ღვთის ტაძარი ცაში, და გამოჩნდა მისი აღთქმის კიდობანი მის ტაძარში. და იქნა ელვანი და ხმანი, ქუხილნი და მიწისძვრა და დიდი სეტყვა (გამოცხ. 11:15-19).

იერიქონის კედლების დანგრევა შევიდა 10 ბიბლიურ სასწაულში, რომელსაც მეცნიერების აზრით, ახსნა აქვს. გთავაზობთ ამ სიას:

მკვდრეთით აღდგომა; იესოს წყალზე გავლა;

განკურნება; სოდომი და გომორი; წარღვნა; ეგვიპტის 10 სასჯელი; ცეცხლმოკიდებული ბუჩქი; ნოეს კიდობანი; წითელი ზღვა და იერიქონის კედლები.

აქვე გეტყვით, რომ ჩემი მოკრძალებული აზრით, ზოგიერთი მეცნიერული ახსნა ამ მოვლენებისა იმდენად უსუსური და უსახურია, რაც მთავარია, მიუღებელია ნებისმიერი მორწმუნესთვის, რომ განხილვის ღირსადაც არ ღირს, თუმცა ერთ მაგალითს მოგიტანთ: ეს არის ცეცხლმოკიდებული ბუჩქი ანუ ალმოდებული მაყვლოვანი: აი, როგორ ხსნის ამ მოვლენას ფიზიკოსი კოლინ ჰამფრეი: ბუჩქი, სავარაუდოდ, აკაცია იყო და ვულკანის ხვრელთან იზრდებოდა, რამაც მისი აალება გამოიწვია. ფსიქოლოგიის პროფესორი ბენი შენონი კი აცხადებს, რომ ღმერთის ხმა, რომელიც მოსემ გაიგონა, ჰალუცინეგონური სუბსტანციების მიღებით იყო გამოწვეული.

„გამოეცხადა უფლის ანგელოზი ცეცხლის ალად შუაგულ მაყვლოვანში. ხედავს, ცეცხლი უკიდია მაყვლოვანს, მაგრამ არ იწვის მაყვლის ბუჩქი“ (გამოს. 3:2). წერია სადმე აკაცია? სამაგიეროდ მაყვლოვანის შესახებ სამჯერ წერია ანუ ეს სიტყვა სამჯერაა ნახსენები ერთ წინადადებაში. ბიბლიის შემქმნელმა იცოდა წინასწარ, რომ გამოჩნდებოდა მავანი ფიზიკოსი, რომელმაც მაყვლის და აკაციის გარჩევა არ იცის. ფსიქოლოგიის პროფესორთან კი უფრო მძიმე კლი-

ნიკურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. თუ უფლის საუბარი მოსესთან ჰალუცინეგონური სუბსტანციების მიღებით იყო გამოწვეული, მაშინ მოსედან დღემდე, ამ ლოგიკით, იქნებ მსოფლიოც ამ ჰალუცინეგონური სუბსტანციის ნაყოფია? აი, ასე „მეცნიერულად და დამაჯერებლად“ ამგვარ „მეცნიერებს“ „შეუძლიათ“ შვიდი საყვირის ამოცანაც „ამოხსნან“ და კაცობრიობის გონი წინ წასწიონ.

თეიმურაზ ნადარეიშვილი
გია ნადარეიშვილი შესახებ

ბატონ გია ნადარეიშვილს უკვე ხუთი წელია ვიცნობ. მანამდე, რა თქმა უნდა, გაგონილი მქონდა ცნობილი ჰომეოპათის შესახებ ბევრი რამ და ბუნებრივია მქონდა დიდი სურვილი გამეცნო ეს ადამიანი (ჩემს სურვილს, აძლიერებდა ის გარემოებაც, რომ ბატონი გია ჩემი მოგვარეა!), მაგრამ არ ვიცოდი როგორ მომეხერხებინა ეს! და აი მისი უდიდებულესობა შემთხვევა – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელი ნუგზარ მოსულიშვილი შეხვდა ბატონ გიას და მათი საუბრისას ბატონ გიას გაუმჟღავნებია დიდი დაინტერესება კვანტური მექანიკით, ნუგზარმა კი ჩემი მობილურის ნომერი მისცა და ასე მოხდა ჩვენი პირველი შეხვედრა უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის კათედრაზე, რომელსაც ბატონი გიას მეუღლე ქალბატონი თეკლა და ვაჟი ილია ესწრებოდნენ. შეხვედრა ორივესათვის იმდენად საინტერესოდ, დინამიურად წარიმართა, რომ ყოველგვარ დადგენილ თუ დაუდგენელ რეგლამენტს გასცდა და დაახლოებით ოთხ (!) საათს გაგრძელდა (ასეა, როდესაც ნამდვილად ღირებული, მნიშვნელოვანი საუბარი იმართება, თავად დროც კი უკან „იხევს“ და მოსაუბრეები ვერ გრძნობენ ოდნავ დაღლასაც კი!).

ახლაც კი, ხუთი წლის შემდეგ, კარგად მახსოვს თუ რა მომეწონა ბატონი გიას მონათხრობში. პირველი, რაც მინდა აღვნიშნო, ეს მისი გულწრფელობაა! კერძოდ, დაწვრილებით მომიყვა საკუთარი ჰომეოპათიური წამლების დამზადების მეთოდზე, როდესაც მრავალჯერ ხდება გაზავება ამა თუ იმ სამკურნალო საშუალების (ამის შესახებ უფრო სრულყოფილად ქვემოთ ვილაპარაკებ) და სწორედ აქ გამოჩნდა მისი გულწრფელობა, (ბავშვურ მიამიტობის დონემდე აყვანილი!): ბატონ გიას აინტერესებდა, თუ რატომ ღებულობდა კარგ შედეგებს ამა თუ იმ დაავადებების მკურნალობისას და ხვდებოდა, რომ აქ აუცილებლად საჭიროა ატომურ დონეზე პრობლემის განხილვა ანუ კვანტური მექანიკის ცოდნა, მე კი თავად ამ დისციპლინას ვასწავლი უნივერსიტეტში – ასე, რომ ბატონმა გიამ სწორ ადრესატს მიაგნო! მეორე, რამაც გამაკვირვა ის იყო, რომ მიუხედავად იმისა, რომ მას არ აქვს საბაზისო ფიზიკის განათლება მიღებული, იგი მაინც კარგად ერკვევა კვანტური მექანიკის პრინციპულ საკითხებში მოყვარულის დონეზე. კერძოდ, მან დამისახელა კვანტური მექანიკის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ავსტრიელი ფიზიკოსის ერვინ შრედინგერის წიგნი „სიცოცხლე ფიზიკოსის თვალსაზრისით“, რომელიც თურმე მისი სამაგიდო წიგნი ყოფილა და ამ იქ გამოთქმული იდეები ბატონი

გიას შთაგონების და სამედიცინო და სოფლის მეურნეობაში წარმატებული დანერგვის მთავარი წყარო აღმოჩნდა! ბატონი გია ხშირად იმეორებს ხოლმე შრედინგერის შემდგომ გამონათქვამს: „ადამიანს ღუპავს ზედმეტი ენერგია და საჭიროა მოვაშოროთ მას ეს ზედმეტი ენერგია!“ ამას აკეთებს თურმე თავად და სწორედ ეს არის მკურნალობაში ყველაზე მთავარი!მაგრამ ყველაფერ ამაში სრულყოფილად გასარკვევად აუცილებელია კვანტური მექანიკის ღრმა ცოდნა და ამიტომ მომმართა მე და პოპულარულ დონეზე მომიწია პატარა ლექციის ჩატარება კვანტური მექანიკის ძირითადი პრინციპების შესახებ და როგორც ბატონი გიას რეპლიკებიდან და შეკითხვებიდნ ჩანდა, მან კარგად გაიგო ყველაფერი. ჩემი აზრით აქ ორი ბედნიერ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ჯერ ერთი, როგორც ჩანს, მეც კარგად ვთქვი ჩემი სათქმელი (როგორ ალბერტ ეინშტეინი აღნიშნავდა, შენ მაშინ გესმის შენი საგანი, თუ მას ბავშვს ან არასპეციალისტს გააგებინებ!) და მეორეც, ბატონ გიას არ შეეძლო ვერ გაეგო ის რაც ვთქვი, რადგანაც იგი უსაზღვროდ შეყვარებულია კვანტურ მექანიკაზე, ბევრი აქვს ნაფიქრი ამ თემაზე და ამიტომ ჩემმა ლექციამ უბრალოდ მოაწესრიგა მისი შეხედულებები პროფესიულ დონეზე!

შემდგომ კი მე მისი საწყისი გულრწფელობის საპასუხოდ მეც ასევე ალალად ვუპასუხე, რომ

იმაში გარკვევა თუ როგორ მოქმედებს ბატონი გიას მიერ დამზადებული ჰომოეპატიური წამლები კვანტურ დონეზე, ურთულესი ამოცანაა და გაირკვევა თუ არა ეს მექანიზმი, ამას დასჭირდება არა მარტო ფიზიკოსი, არამედ ქიმიკოსი, მათემატიკოსი, პროგრამისტი და ბიოლოგი და შესაძლოა მთელი ინსტიტუტიც კი, მაგრამ საწყისს ეტაპზე მაინც შეგვიძლია ჩვენი ძალებით შევეჭიდოთ ამ პრობლემას! მესამე, რაც მომეწონა ის იყო, რომ ბატონო გია უსაზღვროდ შეყვარებულია კვანტურ მექანიკაზე და ეს განსაკუთრებით სასიამოვნოა ჩემთვის, რადგანაც მეც ასევე თავდავიწყებით მიყვარს კვანტური მექანიკა, როგორც ჩემი სპეციალობა და უმთავრესი შრომები სწორედ კვანტური მექანიკის პრინციპულ და პარადოქსულ საკითხებს მივუძღვენი (სიტყვამ მოიტანა და პირველად ქართულ ენაზე ორი ამოცანათა კრებული გამოვეცი კვანტურ მექანიკაში, რომელიც განკუთვნილია უნივერსიტეტის ბაკალავრიატის III და IV კურსის და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის. მოვიანებით ორივე წიგნი ბატონ გიას საზეიმოდ გადავეცი ქართული TV-ს ეთერში მის საავტორო გადაცემაში „მომავლის ტექნოლოგიები“).

ამის შემდგომ უკვე ორივე მივხვდით, რომ აუცილებელი იყო ახალი შეხვედრებიც და მართლაც კიდევ ოთხჯერ თუ ხუთჯერ შევხდით ერთმანეთს იმავე თეორიული ფიზიკის კათედრაზე.

შემდეგ 2022 წელს ბატონმა გიამ მიმიწვია მის მიერ ორგანიზებულ ბალტიისპირეთის ქვეყნების მეცნიერთა შეხვედრაზე, სადაც მან ისაუბრა საკუთარ გამოცდილებაზე და მეც სიტყვით გამოვედი ამ ძალიან საინტერესო ფორუმზე.

2023 წლის შემოდგომაზე კი თვისობრივად ახალი ეტაპი დაიწყო ჩვენს ურთიერთობებში. კერძოდ, ბატონმა გიამ მიმიწვია ქართული TV-ს ეთერში საკუთარ საავტორო გადაცემაში „მომავლის ტექნოლოგიები“, რომელსაც თავად უძღვება ცნობილ ჟურნალისტ და მწერალ ბატონ ზაალ ნემსაძესთან ერთად. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ბატონმა ზაალმა მეორე არანაკლებ საინტერესო საკუთარი საავტორო გადაცემის „ხამს მოყვარე მოყვრისათვის“ რამდენიმე გადაცემაც დაგვითმო , სადაც სრულიად განსხვავებულ, მაგრამ დიდ ეროვნულ და საჭირბოროტო საკითხზე – უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ აღორძინების და პოპულარიზაციის საკითხებზე სასაუბროდ. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, ის რომ შოთა რუსთველის ამ გენიალურ ქმნილებას პოპულარიზაცია სჭირდება ჩვენს დროში, მაშინ როცა ავადსახსენებელ კომუნისტურ ე.წ. „განვითარებული სოციალიზმის“ ეპოქაში, 1966 წელს თბილისში, მაშინდელ „ლოკომოტივის“ სტადიონზე დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლისთავი. ეს იყო დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის ღონისძი-

ება, რადგანაც მას ესწრებოდა უამრავი ქართველოლოგი სხვადასხვა ქვეყნიდან და თვით საბჭოთა კავშირის კულტურის „ყოვლისშემძლე“ მინისტრი ეკატერინა ფურცევაც კი! სამწუხაროდ, 2016 წელს, რამდენადაც პარადოქსალურად არ უნდა ჟღერდეს ეს ფაქტი, (უკვე დამოუკიდებელ საქართველოში!) რუსთველის 850 წლისთავი, არავის გახსენებია! იქნებ 2066 წელს მაინც მოვახერხოთ რუსთველის 900 წლისთავის იმ დონეზე აღნიშნა, როგორიც ამ გენიოსს ეკადრება!)

მას შემდეგ ყოველ სამშაბათს, დილის 11 საათს, სულმოუთქმელად ველოდები, როდესაც მორიგი ჩაწერა გვაქვს, რადგანაც ძალიან საინტერესო, ემოციური და ამავდროულად პროფესიულად მკაცრი საუბრები გვაქვს იმის შესახებ თუ როგორ შეიძლება აიხსნას კვანტური მექანიკის გამოყენებით ბატონი გიას მიღწევები მედიცინაში და სოფლის მეურნეობაში. თემა იმდენად დიდია, მრავალმხრივია და რთულია, რომ მუდმივად დროის დეფიციტს განვიცდით და ამიტომ გადაცემიდან გადაცემამდე უამრავი ახალ-ახალი საკითხები და კითხვები ჩნდება: მართლაც, რომ კამათში იბადება ჭეშმარიტება, ოღონდ ეს ჭეშმარიტება ჩვენს შემთხვევაში ძალზე რთულია და არ „სურს“ გაგვანდოს საკუთარი საიდუმლეობები!

ამ სატელევიზიო გადაცემებში უკვე აშკარად გამოჩნდა, რომ აუცილებელი იყო კიდევ ერთი,

ფუნდამენტური შეხვედრა ყოველგვარი დროითი ლიმიტის გარეშე და თან ისე, რომ საშუალება გვქონოდა დაფასთან გაგვეხილა დისკუსიის დროს სპონტანურად თუ არასპონტანურად წარმოშობილი იდეები და აი, 2023 წლის 24 დეკემბერს, მე და ბატონმა გიამ კვლავ მივაშურეთ ჩვენთვის ასე კარგად ცნობილ თეორიული ფიზიკის კათედრას, რომელსაც კვლავ ესწრებოდა ქალბატონი თეკლა. ძალიან კარგი და ორივესათვის ძალზე სასარგებლო საუბარი გამოგვივიდა. მინდა გამოვყო სამი ძირითადი საკითხი, რომლებიც ცხარე დისკუსიების დროს წარმოიშვა.

მე მაქსიმალურად ვცდილობდი გამერკვია ამ შეხვედრაზე თუ რასთან გვქონდა საქმე!ამიტომ ბატონ გიას კიდევ ერთხელ ვთხოვე მოეყოლა მისეული გაზავების მეთოდის შესახებ და ყოველგვარი „დანდობის“ გარეშე შევეკითხე თუ რატომ დასჭირდა მას ასეთ ღრმა დონეზე ჩასვლა. კერძოდ, გავახსენე მისი ტელეგადაცემებში ნახსენები წარმოუდგენლად მცირე 10 მინუს მილიონ ხარისხში აყვანილი რიცხვები, რომელიც გაცილებით ცილდება კვანტური მექანიკაში და საერთოდ თანამედროვე ფიზიკაში არსებულ ზღვარს. კერძოდ, იმ ცოდნით, რაც ამჟამად ფიზიკოსებმა იციან უმციერესი სიგრძე არის ე.წ. პლანკის მანძილები, რაც შეესაბამება 10^{-37} მეტრს (ამაზე უფრო მცირე მანძილებზე, როგორც ვარაუდობენ ახალი, დღემდე უცნობი ფიზიკა

იწყება!). როგორც ვხედავთ აქ მხოლოდ 37 ნულია, განსხვავებით ბატონი გიას „კუთვნილი“ მილიონი ნულისა. რას ნიშნავს, რისი მანიშნებელია ყოველივე ეს?! ახალ, ჯერ კიდევ მიუღწეველ ახალ სუბკვანტურ მექანიკასთან გვაქვს საქმე?! ამ საკითხზე, ორივემ ბევრი ვიმსჯელეთ, მაგრამ საბოლოო გარკვევამდე, რა თქმა უნდა, ჯერ ძალიან შორს ვართ! როგორც დისკუსიისას შემდგომ გავარკვიე ბატონი გია ეყრდნობა შრედინგერის ზემოთ ნახსნებ წიგნში მოხსენიებულ ჯერჯერობით გაურკვეველი წარმოშობის ტალღებს ანუ საუბარია თავად შრედინგერის მიერ ნაწინასწარმეტყველებ ახალი,აქამდე უცნობი ბუნების ტალღებზე. ყველაზე გასაოცარი კი ის არის, რომ, როგორც ჩანს ბატონი გია ახერხებს ამ უცნობი ტალღების „დამორჩილებას“ და პრაქტიკაში ანუ მედიცინაში და სოფლის მეუნეობაში მათ გამოყენებას, ისე რომ შინაგანი მექანიზმი ამ პროცესისა ჯერჯერობით სრულიად გაუგებარია და „ძაღლის თავი აქ არის დამარხული“ ანუ უნდა გავერკვეთ თუ რა ხდება! ამის საპირწონედ ბატონ გიას მოვუყვანე სპინის მაგალითი, რომელიც უკვე თითქმის ასი (!) წელია ისწავლება მთელი მსოფლიოს უნივერსიტეტების კვანტური მექანიკის კურსში. საქმე იმაშია, რომ თავად ტერმინი „სპინი“ წარმოდგება ინგლისური სიტყვიდან „spin“, რაც ბრუნვას ნიშნავს ანუ ეგონათ, რომ ელექტრონს იმიტომ გააჩნია

სპინი, რომ იგი ბრუნავს, მაგრამ როდესაც დათვალეს ბრუნვის ხაზოვანი სიჩქარე, ის სინათლის სიჩქარეზე მეტი გამოვიდა, რაც ეწინააღმდეგება ეინშტეინის ფარდობითობის სპეციალური თეორიის ძირითად ცდებით დადასტურებულ დებულებას – ბუნებაში არსებული ყველაზე დიდი სიჩქარე სინათლის სიჩქარეა! ამიტომ ელექტრონის ბრუნვა თავის ღერძის გარშემო გამოირიცხა და საკითხი დღემდე გაურკვეველია.კერძოდ, ნაწილაკებს გააჩნიათ სრულიად გაუგებარი წარმოშობის ახალი კვანტური რიცხვი სპინი, მაგრამ მიუხედვად ამისა, რამდენადაც გასაოცარი არ უნდა იყოს, ჩვენ წარმატებით აღვწერთ ატომში მიმდინარე პროცესებს – ვითვლით ატომების ენერგეტიკულ დონეებს, ე.წ. დონეების ნაზ და ზენაზ გახლეჩებს, ატომების მიერ სინათლის გამოსხივების და შთანთქმის სპექტრებს და რაც ყველაზე მთავარია, ეს გამოთვლები ბრწინვალე თანხვედრაშია ცდებთან. ამ თემაზე კი რამდენიმე ნობელის პრემიაა გაცემული ფიზიკაში. ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, ფიზიკოსებს გაცილებით უფრო ღრმად გვესმის ქიმიკოსებისათვის ყველაზე მთავარი მიღწევა მენდელეევის პერიოდული სისტემა, რადგანაც მენდელეევის გარდაცვალებიდან 60 წლის შემდეგ ავსტრიელმა ფიზიკოსმა ვოლფგანგ პაულიმ ჩამოაყალიბა თავის აკრძალვის პრინციპი, რომელიც გასაოცარი სიზუსტით ხსნის ქიმიური ელემენტების პერიო-

დულობას, მაგრამ მიუხედავად ამ უდიდესი წარმატებებისა, იმის გამო, რომ ჩვენ არ გვესმის ამ „ავადსახსენებელი“ სპინის შინაგანი წარმოშობის მექანიზმი, ფიზიკოსები ადრე თუ გვიან „გავიჭედებით“ ახალი მოვლენების შესწავლისას. უფრო უკეთ გასაგებად, მე ბატონ გიას მოვუყვანე შემდეგი უბრალო მაგალითი. როდესაც ავტომობილი გვიფუჭდება, მივმართავთ ხოლმე ავტოპროფილაქტიკაში ხელოსანს და იგი გვიკეთებს ხოლმე მანქანას, მაგრამ შესაძლოა მანქანას ისეთი რამ ქონდეს დაზიანებული, რაც უფრო მაღალ დონეს მოითხოვს ვიდრე ხელოსანია. კერძოდ საჭიროა ინჟინერი, რომელიც ერკვევა შიგაწვის ძრავის მუშაობის მთავარ პრინციპში – კარნოს ციკლში, რომელიც შესაძლოა ხელოსანმა არ იცოდეს. თანამედროვე კვანტური მექანიკა კი ნაწილაკის სპინის შესწავლის საკითხში სწორედ ხელოსნის დონეზეა,რადგანაც ფიზიკოსებმა არ იციან რა „კარნოს ციკლი“ განაპირობებს ნაწილაკის სპინს!

მეორე და ალბათ ყველაზე მთავარი საკითხია თუ რითი დავიწყოთ ანუ როგორ მივუყენოთ კვანტური მექანიკის პრინციპები იმას, რასაც ბატონი გია აკეთებს ჰომოპატიური წამლების დამზადებისას და აქაც კვლავ პატარა ლექციის ჩატარება მომიწია. კერძოდ, მე ვახსენე, რომ ფიზიკაში არსებობს ორი ტიპის კანონები: ფენომოლოგიური (ემპირიული) და გარკვეულ თეორიულ მოდელი-

დან გამოყვანილი ფიზიკური კანონები. მათგან შედარებით მარტივია ფენომოლოგიური კანონების მიღება და მაგალითისათვის მოვიყვანე ჯერ კიდევ სასკოლო კურსიდან ცნობილი ჰუკის კანონი

$$F=-kx \quad (1)$$

სადაც x სხეულის დეფორმაციისას ანუ მაგალითად, გაჭიმვისას ან შეკუმშვისას, სხეულში აღძრული დრეკადობის ძალის სიდიდეაა, x წაგრძელების ან შეკუმშვის სიდიდეა, ხოლო k – სიხისტის კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია სხეულის გვარობაზე. როგორც (1) ფორმულიდან ჩანს, – ნიშნის გამო, დრეკადობის ძალა ყოველთვის წანაცვლების საწინააღმდეგოდაა მიმართული და ეს ფაქტი იმით აიხსნება, რომ სხეული ცდილობს აღიდგინოს პირვანდელი მდგომარეობა ანუ სანამ მასზე ვიმოქმედებდით. უნდა აღინიშოს, რომ თავად (1) ფორმულა ჰუკმა მიიღო ემპირიულად ან ცდებზე დაყრდნობით და სკოლებში მოსწავლეებს ატარებინებენ უმარტივეს ცდებს ამ კანონის შესამოწმებლად, ყოფით ცხოვრებაში კი ჰუკის კანონის გამოხატულებაა აწონვის პროცესი ზამბარიან სასწორზე.მართლაც რაც უფრო მასიურია, ის რასაც ვწონით, მით უფრო მეტად იჭიმება ზამბარა. მაგრამ შემდგომ გაირკვა, რომ დრეკადობის ძალა არ არის ფუნდამენტალური ძალა და ის შეიძლება გამოყვანილ იქნას უკვე ნამდვილად ფუნდამენტალური ელექტრომაგნიტური ძალებიდან (ბუნებაში ამ-

ჟამად არსებობს ოთხი ფუნდამენტალური ძალა: გრავიტაციული ანუ მიზიდვის, ელექტრომანიტური, ძლიერი და სუსტი ძალები. ამჟამად ინტენსიურად განიხილება მეხუთე ძალის არსებობის შესაძლებლობაც, მაგრამ ეს ძალა ჯერ-ჯეროობით ცდაზე არ არის დაფიქსირებული!). კერძოდ, სანამ სხეულზე მოვდებთ ძალას, სხეულში მოთავსებული ატომები იმყოფებიან წონასწორულ მდგომარეობაში, ხოლო ძალის მოდების შედეგად ირღვევა ეს წონასწორობა ატომებს შორის და ამიტომ ატომები ცდილობენ აღიდგინონ საწყისი მდგომარეობა და ეს ხდება სწორედ ელექტრომაგნიტური ძალების გამო, რადგანაც ატომების შიგნით ეს ძალები მოქმედებს. ამრიგად, დრეკადობის ძალებს დამოუკიდებელი ბუნება არ გააჩნიათ და მათი წარმოშობის წყაროა ფუნდამენტალური ელექტრომაგნიტური ძალები (იგივე შეიძლება ითქვას კარგად ცნობილი ხახუნის ძალების შესახებაც, რომლებიც ასევე ელექტრომაგნიტური წარმოშობის ძალებია). ამიტომ ბუნებივად ისმება შემდეგი კითხვა: ხომ არ შეიძლება უკვე ცდით დადასტურებული (1) კანონი გამოვიყვანოთ ატომებს შორის არსებული ელექტრომაგნიტური ძალებიდან! აღმოჩნდა, რომ ეს ურთულესი და დღემდე გადაუწყვეტადი ამოცანაა ანუ ასეთი სიტუაცია გვაქვს: ვიცით, რომ სწორია (1) ფორმულა, მაგრამ ვერ ვახერხებთ მის მიღებას უფრო ფუნდანტალური

დონიდან და ვჯერდებით იმას, რაც გვაქვს და კარგად მუშაობას ანუ „ვენდობით“ (1) ფორმულას!

თუმცა მეცნიერების ისტორიაში არსებობს საპირისპირო ბედნიერი შემთხვებებიც, როდესაც ხერხდება ფუნდანტალური ძალებიდან ფენომელოგიური (ემპირიული) კანონების მიღება და ამის საილუსტაციოდ მე მოვიყვანე დანიელი ასტრონომის ტიხო ბრაჰეს მაგალითი, რომელმაც დააარსა ურანიბორგის ობსერვატორია, აღჭურვა ის თავისივე ხელმძღვანელობით დამზადებული საუკეთესო ხელსაწყოებით და ხელმძღვანელობდა მას 1576-1597 წლებში. აქ ტიჰო ბრაჰე აკვირდებოდა ვარსკვლავებს,პლანეტებს და კომეტებს და დიდი სიზუსტით განსაზღვრა მათი მდებარეობა ცაზე, რაც მისი მთავარი დამსახურებაა. მან ასევე შეადგინა ციურ მნათობთა სინათლის სხივების ატმოსფეროში გარდატეხის (რეფრაქციის) ცხრილები. ტიჰო ბრაჰეს თამაშემწე იყო იოჰანეს კეპლერი, რომელმაც ბრაჰეს სიკვდილის შემდეგ მოაწესრიგა მისი დაკვირვებების შედეგები, გარკვეული კანონზომიერანი შეამჩნია ამ „უბრალო“ რიცხვების უკან და ჩამოაყალიბა პლანეტების მოძრაობის კარგად ცნობილი სამი კანონი. შემდგომ კი უკვე ისააკ ნიუტონმა კეპლერის კანონებზე დაყრდნობით მიიღო უნივერსალური მსოფლიო მიზიდულობის კანონი. ამრიგად ამ შემთხვევაში ტიხო ბრაჰეს „უწყინარმა“ ფენომოლოგირმა დაკვირვებებმა

მიგვიყანა ერთ-ერთი უდიდესი კანონის თეორიულ აღმოჩენამდე.

ყოველივე ამ „სამეცნიერო მოთელვის“ შემდომ მე ბატონ გიას ვუთხარი, რომ საწყისს ეტაპზე, უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ზემოთ განხილული ჰუკის კანონის ფენომოლოგიური (1) ფორმულის მსგავსი ფორმულის მიღება მისი მიერ ჩატარებულ ჰომოპატიური წამლების დამზადების პროცესში. საუბრისას გაირკვა, რომ რაც უფრო მეტ გაზავებასთან გვაქვს საქმე მით უფრო დიდხანს მოქმედებს დამზადებული წამალი. მაგალითად, 12 გაზავება მოქმედებს რამდენიმე საათი, 30 გაზავება რამდენიმე დღე, 200 გაზავება ერთი თვე და ა.შ. აქედან გამომდინარე რაც შეიძლება მეტი ცდა უნდა ჩატარდეს, რომ იქნებ მოხერხდეს მივიღოთ (1) ფორმულის მსგავსი ფორმულა. ყველაზე მარტივი იქნება თუ ამ კანონს შემდეგი სახე ექნება:

$$t = kn^{\alpha} \quad (2)$$

სადაც t წამლის მოქმედების დროა, k გაზავებების რიცხვია, ხოლო k კი (1) ფორმულის სიხისტის ანალოგია ჩვენს შემთხვევაში. აქ საუბარში ჩაერთო ქალბატონი თეკლა, რომელმაც აღნიშნა, რომ მართლაც t წამლის მოქმედების დრო დამოკიდებულია თუ რა წამალს ანუ რა გვარობის ნივთიერებას ვაზავებთ ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მართლაც k სიხისტის ანალოგია.

ამრიგად გამოიკვეთა პირველსაწყისი ამო-

ცანა: აუცილებელია მრავალრიცხოვანი ცდების ჩატარება სხვადასხვა წამლებზე, რომ მივიღოთ ფენოლოგიური (2) მსგავსი ფორმულა და დავადგინოთ თუ რას უდრის α. შეიძლება სიტუაცია უფრო რთული იყოს, რაც ახლა გვგონია და t დამოკიდებული იყოს წამლის გვარობაზე ანუ k-ზე ან საერთოდ (2) უფრო რთული ფორმულა იყოს მისაღები. მოკლედ ახლა ჩვენ ვიმყოფებით ტიხო ბრაჰეს დონეზე. კერძოდ, გვაქვს დაკვირვებები და საჭიროა მათი მოწესრიგება (ახალი კეპლერი გვინდა!) და უნდა მივიღოთ (2)-ის მსგავსი ფორმულა, რომელიც საშუალებას მოგვცემს ვმართოთ წამლის დამზადების პროცესი ანუ ვიწინასწარმეტყველოთ t წამლის მოქმედების დრო თუ ვიცით n გაზავებების რიცხვი. ჯერჯერობით შესაძლოა ეს იყოს ის მაქსიმუმი, რისი მიღწევაც შესაძლებელია ამჟამად და ვერ მოხერხდეს (2) ფორმულის მიღება პრობლემის სირთულის გამო კვანტური მექანიკის პრინციპებიდან (აქ უკვე ახალი ნიუტონი გვინდა!), ისევე როგორც ვერ ხერხდება (1) ფორმულის მიღება ელექტრომაგნიტური ძალებიდან!

1) საუბრისას აშკარად გამოიკვეთა, რომ აუცილებელია გაირღვეს ის „უნდობლობის რკალი“, რაშიც ბატონი გია იმყოფება, მიუხედავად უამრავი წარმატებული მკურნალობისა და სოფლის მეუნეობაში მიღწეული შთამბეჭდავი შედეგებისა. აქ ალბათ, მაინც ადამიანურ მდაბალ გრძნობებთან გვაქვს საქმე: ელემეტარული შური, ახლის აღქმის

უუნარობა და არც თუ უმნიშვნელო დაუნდობელი კომერციული გაანგარიშებები სააფთიაქო თუ ყოფით დონეზე. ასევე მინდა დიდი სინანულით აღვნიშნო ის უმადურობა, რასაც ზოგიერთი მორჩენილი ავადმყოფი ავლენს ბატონი გიას მიმართ და ზოგი ფერმერის შიში, რომ გაამჟღავნოს თუ რა წარმატებებს მიაღწია მან ბატონი გიას მიერ შექმნილი წამლის გამოყენებით მოსავლის აოდენობრივ და ხარისხობრივად ზრდაში. ყოველივე ამას, უმადურობის ამ „ნიაღვარს“ რა თქმა უნდა, დიდი გამძლეობა სჭირდება, მაგრამ ბატონ გიას ისეთი შინაგანი რწმენა აქვს, ისეთი დიდი შინაგანი სიმართლე გააჩნია, რომ მას ვერაფერი და ვერავინ შეაჩერებს!

ბოლოს კი ვუსურვებ ბატონ გიას ბოლოდე მიიყვანოს ის უამრავი ჩანაფიქრი, რაც მის აზროვნებაშია „დატყვევებული“ და დღის სინათლეს ელოდება! არ გადმოფინო ბატონი გია სიმშვიდის დროშა!

თეიმურაზ ნადარეიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ზუსტი და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების ასიტენტ-პროფესორი, თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის თეორიული განყოფილების ველის კვანტური თეორიის ლაბორატორიის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ტელეპორტაცია

რთულ თემაზე უნდა გადავიდე. დღეს ამაზე საუბარი და წერა, მთლად უსაფრთხო არ გახლავთ, მაგრამ უფალს მივანდობ თავსაც და თანაავტორების კარგად ყოფნასაც... ტელეპორტაცია ყოფა-ცხოვრების ხვალინდელი დღეა და როცა ორ ნადარეიშვილთან სასაუბროდ დავჯექი, ამ საკითხზე და ჩემი რამდენიმე წლის წინ დაწერილი ნოველა გავიხსენე და ... (ფრაგმენტი ზემოთ მოვიტანე და შეგიძლიათ გადაიმეოროთ „გახსენი, ესროლე, საკონტროლო პუნქტი გაანადგურე!“ მიიღო ბრძანება ყურსაცვამში და აფრინდა... ზუსტად იგივე გაიმეორა ხუთმა სხვა ეკიპაჟმა ტანკებთან ერთად და... ამ დროს ამ აგრესორთა სამშობლოს დედაქალაქში, აქედან რამდენიმე ასეული მილის მანძილზე, მიყოლებით, აფეთქდნენ პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და ოთხი ძალოვანი მინისტრი და მათი სამუშაო რეზიდენციები. ვინც დარჩა ამბის მომყოლი, მათ მსოფლიოს მოგვიანებით აცნობეს, რომ ელვისებური ომის გეგმა ჩაეფუშათ და მეზობელმა, ერთი შეხედვით, სამეზობლოში ყველაზე მშვიდობიანმა და უიარაღო პატარა სახელმწიფომ, მასზე ხუთჯერ დიდი და ასჯერ ძლიერი ქვეყანა,უთავოდ დატოვა...

და მხოლოდ ერთს, ყველა სამსახურიდან გაგდებულ ბებერ მწერალს ჰქონდა ამის სავარა-

უდო ახსნა.. „მათ ხომ იერიქონა ჰყავთ. ეს მისი ოინები იქნება“. ფიქრობდა და მაშინ გაახსენდა თავისი ტრაქტატი „ტელეპორტაცია – მითი თუ სინამდვილე?“ ეს ტრაქტატი სწორედ იერიქონას წიგნის გავლენით დაწერა და დარჩა კიდეც უმუშევარი. იმას კი იქ, თავის სახელმწიფოში, ეტყობა, დაუჯერეს და ერთმა კაცმა დედა გვიტირა. მშვიდობიანი ხალხია, არ მოინდომებენ არასდროს, თორემ, მთელ მსოფლიოს ამოიდებენ ლაჯებში. ტელეპორტაციას მხოლოდ თავდაცვისთვისთვის გამოიყენებენ...).

ვიდრე ტელეპორტაციის რაობაზე გადავალ, მინდა ჩემი ძვირფასი მკითხველების ინტერესი დავაკმაყოფილო თემაზე-რისგან შედგება საკმეველი და როგორ კურნავს ის?

ის ფაქტი, რომ საკმეველის არომატი კურნავს სულიერ ტკივილს, გვანიჭებს სიმშვიდის და დაცულობის შეგრძნებას, საყოველთაოდ ცნობილია, თუმცა ბევრმა არ იცის, რომ იგი ხელს უშლის მიკრობების გამრავლებას ჰაერში, წყალსა და ორგანიზმში. რა არის ამ სასწაულმოქმედების საიდუმლო? – ბიბლია გვასწავლის, რომ საკმეველის დამზადების რეცეპტი, თავად უფალმა უკარნახა მოსეს: „უთხრა უფალმა მოსეს: აიღე სურნელებანი: შტახსი, ონიქსი, სურნელოვანი ხელბანა და სუფთა ლებონა. თანაბრად. დაამზადე მისგან სასაკმევლე ნაზავი მენელსაცხებელთა ხელოვნებით აზელილი, სუფთა, წმინდა.“

სუფთა ლებონა – სწორედ ეს არის გუნდრუკი, ფისი ძალიან იშვიათი ხის, რომელიც არაბეთში იზრდება, Boswellia-სი.

შტახსი მურის ხის სურნელოვანი ნივთიერებაა.

სურნელოვანი ხელბანა – ქოლგისებრთა ოჯახის მცენარის რძისებრი წვენის შედედებული გრანულებია, რომელსაც გააჩნია ტკივილგამაყუჩებელი, სპაზმოლიტური და შარდმდენი თვისებები.

ონიქსი – წითელ ზღვაში ბინადარი, განსაკუთრებული ტიპის მოლუსკის ნიჟარის სარქველია, რომელიც დაფქვილ მდგომარეობაში უძველესი დროიდან გამოიყენებოდა მედიცინაში.

მეცნიერები შეეცადნენ, აღნიშნული კომპონენტების შეზავების შედეგად დაედგინათ, ჭეშმარიტი ბიბლიური საკმეველის სამკურნალო თვისებები და... საკმეველი აღმოჩნდა უძლიერესი იმუნოსტიმულატორი! ანუ საკმეველის კვამლი ერთნაირად რგებს სულს და ხორცს. როცა ის ოთახს ავსებს, წმინდა ძალით აჯანსაღებს ჩვენს სულს. მედიცინის ენაზე კი – მავნე ბაქტერიებს და ვირუსებს ანადგურებს.

საკმეველის კვამლი შეიცავს ნივთიერებებს, რომელიც ამარცხებს სტრესს, ნევროზს, პანიკურ შეტევებს და უძილობას.

და კიდევ ერთი ყველაზე ხშირი კითხვა. მარხვა რა არის? ამას ჩემზე გაცილებით, ათასჯერ

უფრო ზუსტად სულიერი მოძღვარი გიპასუ-ხებთ, მე კი მამა გაბრიელის აზრზს მოგახსენებთ ამის თაობაზე:

„ერთმა ბერმა გაბრიელ ბერს ჰკითხა:

– მარხვა რა არის?

ახლავე აგიხსნიო, უპასუხა წმინდა მამამ და ჩამოუთვალა მას ბავშვობიდან ჩადენილი მისი ცოდვები. ყველა ცოდვა გაუხსენა: ეს რომ გაა-კეთე და ის რომ ჩაიდინეო. შემდგომში ამ ბერმა თქვა: მე სირცხვილისაგან აღარ ვიცოდი რა მე-თქვა. დავვარდი ტირილად და აღარაფერი მახ-სოვდა. იგი უცებ შეიცვალა, გაღიმებული სახე მიიღო და მითხრა: მოდი, საჭმელი ჭამე და ერთად კარგად მოვილხინოთ.

მე ვუთხარი, რომ არ შემეძლო, რადგან ძა-ლიან ცუდად გავხდი. მაშინ კი მივიღე დასმულ კითხვაზე პასუხი:

– აი, ეს არის მარხვა – როდესაც ცოდვების გამო სინანული გაქვს და საჭმელი არ გახსოვს.“

(მოგონებები გაბრიელ ბერზე)

აღსარების შესახებ არის ბევრი კითხვა. მამა დავით ნოზაძე განმარტავს: – როდესაც აღსარე-ბაზე მივდივართ, წინა დღეს უნდა ავიღოთ ფუ-რცელი და ჩვენი ცოდვები უნდა ჩამოვწეროთ. არ უნდა დაგვჭირდეს კითხვა, კიდევ რა ჩაიდინეო, თვითონ უნდა უყვებოდე მოძღვარს ყველაფერს. აღსარების თქმისას პირველ რიგში ორი ცოდვა უნდა შევინანოთ – ღვთისა და მოყვასის უსიყვა-

რულობა. რაც გეხებათ, გულწრფელად უნდა შეინანოთ... წმინდა მამები გვუბნებიან, რომ ჩვენი ლოცვა და აღსარება უფალს ესმის, ღმერთი აღიარებულ ცოდვებს გვპატიობს. ყოველ ღამე დაფიქრდით, რომელი მცნება შეასრულე, რომელი ცოდვა ჩაიდინე. ყოველ ღამე რომ ასე მოიქცეთ, ცოდვების იმხელა ნუსხა დაგიგროვდებათ, რომ აღარ დაგჭირდებათ მოძღვრის შეკითხვები. როცა შენი ცოდვა არ გახსოვს, ნიშნავს, რომ არ ნანობ.

მამა აკაკი კაჭახიძე: ვნებასა და მრუშობაზე აღსარება დაწვრილებით არ უნდა მოჰყვე. ამას რომ ჰყვები, გახსენდება, ხელახალი ბრძოლები გეწყება. უნდა თქვა, დავეცი ცოდვით და მორჩა! ამის თქმა ისედაც მძიმეა ადამიანისათვის. მღვდელი შენდობის ლოცვას რომ წაიკითხავს, უკვე ნაპატიები აქვს. საეკლესიო სწავლება და ასევე წმინდა მამები გვასწავლიან, რომ მღვდელმა არ უნდა დააკონკრეტებინოს აღმსარებელს ცოდვა და დაწვრილებით არ უნდა მოაყოლოს.

ტელეპორტაციაააა!!!!! – ბატონებო, ჩვენ მოვისმინეთ პატრიარქის საშობაო ქადაგება და მისი სიტყვები, ხელოვნური ინტელექტის შესახებ. ამ საკითხში ჩაწვდომა ერთეულების ხვედრია და როცა მოვისმინე, პატრიარქის ნათქვამი: „შეძლებს ადამიანი გააერთიანოს ქრისტიანული ცხოვრების წესი და ხელოვნური ინტელექტის შესაძლებლობები და ღვთის სადიდებლად მიმა-

რთოს იგი?“ შევძახე: – ჩემო პატრიარქო! მე ვიცნობ ასეთ ადამიანს და სწორედ თქვენ მყავდით მხედველობაში ბატონო გია. როცა ზემოთაღნიშნულ ნოველას ვწერდი, ტელეპორტაციაზე ზერელე წარმოდგენა მქონდა. გამწარებული ვიყავი იმით, რომ სკვითმა წამართვა სამშობლოს მიწები და აფეთქებები ამ სიმწრის გამოტირება იყო და ოცნება იმაზე,ოდესღაც,ვეშაპმეზობლებში მოქცეული, შევძლებდით მათ განეიტრალებას. ბატონო გია, როგორ მიხვედით ტელეპორტაციასთან და რამდენად შესაძლებელია, ჩვენმა პატარა სახელმწიფომ ტელეპორტაციის გამოყენებით დაიცვას თავი?

– ეს ძალიან რეალური თემაა. ამ ბოლო დროს ყველა კვანტურ მექანიკაზე საუბრობს. ადამიანები მივიდნენ იმ აზრამდე, გაარკვიონ რისი შემძლეა ეს მეცნიერება. და გეტყვით პირდაპირ: კვანტური მექანიკა ფლობს ტელეპორტაციას!!! მეცნიერები საოცარ შედეგებს იღებენ. ერთ მაგალითს მოგახსენებთ: ერთ მათგანს სურდა უეკლო კაქტუსის გამოყვანა და როცა ამას ვერ მიაღწია ტრადიციული ცდებით, დაუჯდა კაქტუსს და დაუწყო საუბარი, უეკლოდ გაიზარდეო და გაზარდა უეკლო კაქტუსი. ეს იყო სიტყვიერი ტალღა და ტელეპორტაცია. კაქტუსი, მართალია იქვე იყო, მაგრამ შორსაც რომ ყოფილიყო, მაინც უეკლოდ გაიზრდებოდა. ტელეპორტაციისთვის მანძილი და ვერც დრო არ არის ხელისშემშლელი, მის სიჩ-

ქარესთან შედარებით კვანტი კუზე გაცილებით ნელა მოძრაობს. აი ეს ნახაზი ნახეთ



ეს არის ატომი, ეს ბირთვი, ეს ელექტრონი, ეს კი მანძილი რომელიც ითვლება 1 ანგსტრემით, აი ამ სივრცეში წამის ერთ მეოთხედში ტალღების რიცხვი 10 30 ხარისხში 10 50 ხარისხში იცით ეს რამდენია? ამდენი მოლეკულა თბილისში არ არის. და ყველა ატომში არის ამდენი ტალღა წამის ერთ მეოთხედში. და ყველა ტალღას თავისი დანიშნულება აქვს, თავისი მისია აქვს. მთავარია ადამიანმა მიაღწიოს იმ დონეს, რომ ამ ტალღებზე შეძლოს ზემოქმედება და მაშინ კაცობრიობას მიეცემა სასწაული, განუსაზღვრელი საშუალებები, ტელეპორტაციაც კი. იმიტომ, რომ ყველაფერი ზის აი, აქ, ამ ნახაზში და როგორც გენიალური ადამიანები სხვადასხვა ეპოქაში ამბობდნენ, ამ ტალღებს აქვს საშუალება თავისი

კრისტალიზაციის, ანუ თვითკრისტალიზაციის. აქედან გამოდის, რომ ეს სამყარო არის ერთი კონგლომერატი, რაშიც არაფერი იკარგება. ნებისმიერი ატომი, რომელიც იმყოფება აქედან რამდენიმე ასეულ კილომეტრში, ჩვენთან კონტაქტშია, ეს არის კანონზომიერება. მთავარია, ადამიანმა ისწავლოს ამის გამოყენება, მე როგორც ჰომეოპათი, ვხმარობ გაზავებას, რომელიც ამაზე პატარაა, მაგრამ რადგან მუშაობს, ჩანს, რომ ამაზე პატარა ნაწილაკებიც მუშაობენ და თავის მისიას ასრულებენ, აი ეს არის ამ ნახაზის პრინციპი.

თქვენ დიდი ხანია გაწვალებთ იდეა სიცოცხლის გახანგრძლივებისა.... თქვენი მიზანია ადამიანი ცოცხლობდეს ბიბლიური მოსეს ასაკამდე ანუ 120 წლამდე...

ამ თემაზე ვმუშაობ. ძალიან ღრმად შევედი ამ საქმის არსში. რაღაცეები გამომდის მცენარეებში, ცხოველებში. ახლა საკუთარ თავზე დავიწყე ამ წამლების გამოცდა. ძალიან კმაყოფილი ვარ. მომწონს რასაც ვაკეთებ.

ფუტკარზე გამოვიდა. ლესიჭინეში, ჯანიკო სიჭინავას სკებში 8 წლის დედაფუტკრები ბზუიან და კვერცხებსაც დებენ, – ჩავერთე მე.

ასეა. კვერცხებზე ქათმები გამახსენდა, – გაეცინა გიას, – ზამთარშიც დებენ კვერცხს. ფერი შეიცვალეს და ფარშევანგივით აჭრელდნენ. ზოგს მესამე ფრთა გამოუვიდათ ზურგზე.

– ახალი ჯიშია, ნადარეიშვილის,- გაეხარდა ბატონ თემურს.

– წილკანში, მამა-შვილი გეთიაშვილების ნაკვეთში, გიას ჰომეოპათიურმა წყალმა ჩინური პომიდორი ქართულად გადააქცია 60-იანი წლების გემო და სურნელი დაუბრუნა,- გამახსენდა მე.

– ეს არის მეგობრებო იმ ტალღების მოქმედება, რომელიც დაგიხაზეთ საუბრის დასაწყისში,-გვითხრა გიამ.

– მინდა გკითხოთ ენტროპიის შესახებ. როგორ შეიძლება ბოროტის ხელში მოხვედრილი ამ ქაოსის განეიტრალება?- ვკითხე.

– ისევ ბიბლიასთან მოვდივართ. განა იგივე ქაოსი არ იყო თუნდაც ორი ათასი წლის წინათაც? ქაოსი იყო და იქნება მანამ, ვიდრე ადამიანს არ გაეხსნება სული და გონება ღმერთის მისაღებად. მხოლოდ მაშინ გავიგებთ, რამხელა სიმდიდრის პატრონები ვართ და ვინ გვმფარველობს და ვისი სიყვარულის ღირსნი გავხდით.

ბოლო სიტყვები იმდენად ემოციურად წარმოთქვა, კარგა ხანს ხმა ვერ ამოვიღეთ. როცა ხმა ვიპოვე, ვკითხე:

– ბატონო გია, შეუძლია თუ არა ტელეპორტაციის შესაძლებლობით აღჭურვილ ადამიანს, დაიცვას სამშობლო მასზე გაცილებით ძლიერი აგრესორისგან? თქვენ ჩემს თვალწინ სამ დღეში განკურნეთ ლეიკემია, აქეთ გამოაბრუნეთ ნა-

ხევრადმკვდარი ჯანიკო სიჭინავა, განკურნეთ ლამის ნახევარსაუკუნოვანი ბრონქიალური ასთმისგან დატანჯული ქალბატონი, ე.წ. პოდაგრა ორ დღეში მოურჩინეთ ამით დაკოჭლებულ მოხუცს, ნადარეიშვილის წვეთებით ათასობით (არ მეშლება, ათასობით) ადამიანი დაუბრუნეთ ოჯახებს, თქვენი ჰომეოპათიური წყლის საშუალებით გაცოცხლდა აკაკის დარგული კაკლის ხეები სხვიტორში და უამრავი ხე თბილისში.. ამ სიის გაგრძელება დღეის სწორამდე შემიძლია და ბოლოში მაინც ვერ გავალ. ამიტომ ისევ სამშობლოს დაცვაზე გკითხავთ.

– ტელეპორტაციით თავის დაცვა აგრესორებისგან რეალურია,- მტკიცედ თქვა პროფესორმა გია ნადარეიშვილმა,- შეიძლება ამას ერთი ადამიანი არ ეყოს, მაგრამ რამდენიმე თანამოაზრის ერთობლივი ძალისხმევა შესაბამის ენერგიას გამოიმუშავებს, რომელიც თავის საქმეს აუცილებლად შეასრულებს კოსმოსში.

– თუ ეს პროცესი ოდესმე დაიწყო, ის უნდა წარიმართოს მხოლოდ ეკლესიის მეთვალყურეობით, – ვთქვი და თანამოსაუბრეებს გადავხედე. გიამ წამსვე მიპასუხა:-აუცილებლად, აუცილებლად! ამ საქმეს სათავეში უნდა ჰყავდეს წმინდა მამა, რომ ეკლესიურად არასწორი ნაბიჯი არ გადაიდგას.

აქ კი საუბარში თეიმურაზ ნადარეიშვილი ჩაერთო:

– ბატონო ზაალ, თქვენ ბრძანეთ, რომ პატარა სახელმწიფოს შეუძლია თავის დაცვა დიდისგან, მაგრამ დიდმაც რომ გამოიყენოს ეს ტელეპორტაცია, მაშინ?

– აქ უკვე ტვინების ომია ბატონო თეიმურაზ,- ვუპასუხე.

– კი ბატონო, ტვინების ომია, მაგრამ სად არის გარანტია, რომ ჩვენ ვძლევთ და არა ის დიდი სახელმწიფო?

– ამ წიგნში ერთი თავი „ვეფხისტყაოსანს“ ეძღვნება ბატონო პროფესორო და მსოფლიოში ვერც-ერთი მეტნაკლებად განათლებული ერისშვილი ვერ დაგვადგება ქართველებს და ვერ გვეტყვის, რომ ადამიანის აზროვნებაში უფრო დიდი კულტურის ძეგლი შეუქმნია მის ერს, ვიდრე შოთამ შექმნა. თუ 850 წლის წინ შექმნა ქართველმა ეს, რატომ დღეს ვერ გაიმეორებს. თან ვისი დიდებით შექმნა?

– რომელმან შექმნა სამყარო! – წარმოთქვა თეიმურაზმა.

– აგაშენა ღმერთმა! უფლის გარეშე არა საქმე არ იქნების. ამიტომ არის საჭირო წმინდა მამის თანდასწრებით და მონაწილეობით ტელეპორტაციის ციცაბოებზე ასვლა. ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებ, წმინდა ნიკოლოზ სერბის ნათქვამს მოგიტანთ ბატონო პროფესორებო: აი, იგი – სიბრძნე ღვთისა და ღვთის მიერ სხვაა და სიბრძნე წუთისოფლისა და წუთისოფლის მიერ-

სხვა. ღვთის სიბრძნე სულიწმიდისაგან არის; ამ სიბრძნით აღივსენ მოციქულები სულიწმიდის მათზე გარდამოსვლისას. წუთისოფლის სიბრძნე გრძნობებიდან და მატერიიდანაა და სიშლეგეა ღვთის წინაშე, რადგან არ არის შთაგონებული და ბოძებული სულიწმიდის მიერ... ძმებო, ვინ შეიძლება აღივსოს ღვთიური სიბრძნით? – უპირველესად, ვინც წუთისოფლის სიბრძნის ანუ სიშლეგისგან თავისუფლდება! ღვთის შეწევნით, ეს ყველა ჩვენგანს შეუძლია. თუ ჩვენ სურვილი და მონდომება გვექნება, საპასუხოდ უფალი შეგვეწევა, რადგან ღმერთი თავადაა სიკეთე, სიბრძნე და სიწმინდე.

აი, როგორ ნათლად და გასაგებად მოგვაწოდა წმინდანმა სწავლება ორი განსხვავებული სიბრძნის შესახებ და ამიტომ აღწევს ბატონი გია წარმოუდგენელ შედეგებს, რომ „ღვთის შეწევნით, ეს ყველას შეუძლია.“ სწორედ უფალმა გაუხსნა მას გონება და გაუმხილა შრედინგერის საუკუნის წინანდელი სიბრძნე. თქვენი აზრი ამის შესახებ ბატონო თეიმურაზ...

– ტოლსტოი ამბობს გოეთეზე: „ვკითულობ გოეთეს და თავში აზრები მერევა.“ აქ იმდენი რამ მოვისმინე, რომ მეც აზრები ამერია, მაგრამ კარგი აზრებია. ახლა მინდა ვთქვა ბატონი გიას ამ ნახაზის შესახებ. შრედინგერის, ამ გენიოსის დაუმუშავებელი, ოღონდ ჰიპოთეზის სახით გამოთქმული იდეები დაიჭირა ბატონმა გიამ. რა

არის ამ ნახაზზე, რა ტალღებზეა საუბარი? ამაში გარკვევაა საჭირო, ამით უნდა დავიწყოთ ალბათ, ყველაფერი. უნდა გავერკვეთ, რომელ კანონებზეა ლაპარაკი, ამაში თუ გავერკვიეთ, მერე, რაც ბატონმა გიამ ბრძანა შეიძლება ვმართოთ. საქმე ისაა, რომ ბატონი გია ჩასულია უკვე სიღრმეში... და შეიძლებაა ამან ტელეპორტაციის სახეც მიიღოს, სამკურნალო სახეც მიიღოს, სოფლის მეურნეობაშიც გადატრიალება მოახდინოს. ეს არის ძირი!!! აი, რა უცნაური რამ ხდება. არსებობდა ერვინ შრედინგერი. შემდეგ დაიბადა ბატონი გია, ორი ადამიანის ნააზრევი სხვადასხვა ქვეყანაში და სხვადასხვა ეპოქაში დაემთხვა ერთმანეთს. რასაც ბატონი გია ფიქრობდა, თურმე შრედინგერის წიგნშია. და მეც მთელი ცხოვრება ამას ვასწავლი.

– ამ თემამ მე პირდაპირ ღმერთან მიმიყვანა, – გულზე ხელი დაიდო გია ნადარეიშვილმა, არც შრედინგერი, არც აინშტაინი, არც პლანკი, ვერცეთი მათგანი ვერ ხედავდა იმას როგორც მე ვხედავ. მე უფრო ღრმად ვხედავ ამ ტალღებს, მაგათ შემადგენლობას და ვიცი, როგორ უნდა ვიმუშაო ამ ტალღებზე, რომ მომცეს იდეის კრისტალიზაცია ანუ მატერიალიზაცია. ვინმე მკითხავს ამას ინტუიციით გრძნობთ თუ ხედავთო. შეიძლება ცოტა ინტუიციაც არის, მაგრამ უმეტესად გამოცდილება. აი, ორმილიონიან გაზავებულს ვაძლევ კიბოიანს და კიბო ქრება, რატომ? მე ეს

ავხსენი. ვიდეოს მაგვარი მაქვს თვალში და თავში და ვხედავ იმ ტალღას, იმას თუ როგორ მიდის იდეის მატერიალიზაცია.

ანუ თქვენ შედინგერის იდეებზე შორს ხართ წასული? ეს ახალი ტიპის ტალღაა?

არა, ეს არის ტალღა, რომელიც მოდის ატომის დონეზე. იციან 10-დან მინუს 18-მდე. რამდენიმე მილიარდიანი კოლაიდერი ააშენეს. მე ერთ ოთახში გაკეთებული ცდებით ათჯერ მეტს გავაკეთებ. რასაც კოლაიდერი ოცი წლის განმავლობაში მოუნდა, მე ის სახლის პირობებში შევქმენი.

– ეჭვიც არ მეპარება, – წარმოთქვა ბატონმა თეიმურაზმა, – შეიძლება ბოლომდე არ გვესმის რაშია საქმე. მაგრამ ამ კაცს შედეგები უპყრია ხელთ. ახლა შედეგებს უნდა დაეწიოს თეორია. აი, როცა დავეწევით, მერე მართვა შეიძლება. მართვა რას ნიშნავს? იმ ცუდი მხარის მოშორებას.

– ამიტომ ვართ ჩვენ ერთად, – ბრძანა ბატონმა გიამ, – რომ ენტროპია და ქაოსი გენეტროპიით და წესრიგით შევცვალოთ. და მუშაობის პროცესში გვახსოვდეს: „ნურავინ აცდუნებთ თავს.თუ ვინმეს ამ წუთისოფელში თავისი თავი ბრძნად წარმოუდგენია, გაუგუნურდეს, რათა ბრძენი გახდეს. ვინაიდან ამ წუთისოფლის სიბრძნე უგუნურებაა ღვთის წინაშე, როგორც წერია: „მათ ცბიერებაში შეიპყრობს ბრძენებს.“ და კიდევ: „იცის უფალმა ბრძენთა ზრახვანი, რომ ამაოა ისინი.“ (1 კორინთელთა 3: 18-20).

„მოციქულთა სიტყვები იმდენად გაუგებარი იყო მათთვის, ვისთვისაც უცხო იყო სულიწმიდა, რომ ისინი მოციქულებს მთვრალებად მიიჩნევდნენ. თუმცა მთვრალი და სასაცილო ეჩვენებოდათ უვიცებს ყველა ის ადამიანი, რომლებმაც პირველად დაიწყეს საუბარი მატერიალური სამყაროს დაფარულ საიდუმლოთა შესახებ, ორთქლის ძალაზე, მაგნეტიზმზე, ელექტროობაზე, უსადენო ტელეგრაფზე და დისტანციურად საუბრის შესაძლებლობაზე. მაშ, როგორ შეიძლება, რომ მთვრალებად და სასაცილოებად არ ეჩვენებოდეთ უგუნურებს სულიერი ადამიანები, რომლებიც სულიწმინდის ძალით საუბრობენ ცათა სასუფეველის უთვალავ საიდუმლოთა შესახებ?! ვინც ქედს იხრის ღვთის წინაშე, იმას ღმერთი უფრო აძლიერებს, შემუსვრილ გულში სულიწმინდა მკვიდრდება და თავად საუბრობს ადამინის ბაგეებით. ამაში გვარწმუნებენ არამხოლოდ წინასწარმეტყველები და მოციქულები, არამედ ასევე, ღვთის უამრავი ერთგული ძე და ასული“, – წმინდა ნიკოლოზ სერბი.

გავბედავ და ვიტყვი, რომ გია ნადარეიშვილი ღვთის ერთ-ერთი ერთგული ძეა.

სარჩევი

წინათქმა

სამყაროს განახლების ექსპერიმენტი---------- 3

მკვდარი ზღვა – უფლის ნიშანი ---------- 8

ცოტა წაიმერულება----------17

დასაწყისი ----------21

წეროვნის ექსპერიმენტი----------24

გია ნადარეიშვილი – ექიმი-ჰომეოპათი ---------31

ლოცვის ხელოვნება----------40

ჯანიკო სიჭინავა – მეფუტკრე----------46

ჟამი მწუხარებისა----------50

ახალი რეცეპტი მომავალი

პანდემიის წინააღმდეგ ----------56

უფლის ჯვარზე თქმული----------57

ჩემი „ვეფხისტყაოსანი“ ----------61

შვიდი საყვირი ----------65

თეიმურაზ ნადარეიშვილი

გია ნადარეიშვილი შესახებ ----------72

ტელეპორტაცია----------88

გამომცემლობა „ივერიონი“.
მისამართი: თბილისი. მარჯანიშვილის 18. I სართ.

E-mail: info@iverioni.com.ge